



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის მე-4 თავი

ინფორმაცია, რესტრუქტურია და გლობალიზაცია

1. რეგულირების სკოლის თეორიები,
2. დაგროვების (აკუმულაციის) ფორდისტული (1945 –1973) რეჟიმი,
3. გლობალიზაცია,
4. ფორდიზმის დასასრული?
5. პოსტფორდიზმი,
6. რობერტ რაიხის თეორია,
7. პოსტფორდიზმის პრობლემები,
8. მოქნილი (ფლექსიბილური) სპეციალიზაცია,
9. Web- დამოკიდებულებები,
შეჯამება

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები: რეგულირების სკოლა, აკუმულაციის რეჟიმი, ფორდისტულ - კეინსიანური ერა, მასობრივი წარმოება, გლობალური კორპორაციები, ფინანსების გლობალიზაცია, კომუნიკაციის გლობალიზაცია, ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, ტრანსნაციონალური კორპორაციები, დაქირავებული მუშების მოქნილობა, მოქნილი სპეციალიზაცია, შრომის სეგმენტური ბაზარი.

ჩვენ ვცხოვრობთ ცვალებად სამყაროში. რა თქმა უნდა, ყოველი თაობა ადვილად რწმუნდება იმაში, რომ ასეთი ფეთქებადსაშიში ეპოქა ადრე არ იყო და ამიტომაც სრულებით გამართლებულია ზოგიერთი სკეპტიკოსის მოსაზრება, რომლებიც განცხადებას „მეორე სამრეწველო რევოლუციის“ დადგომასთან დაკავშირებით აკეთებენ. მიუკერძოებელი ავტორიტეტები აღნიშნავენ, რომ ჩვენ ექსკლიუზიურობის განცდის პერიოდში ვიმყოფებით. მაგალითად, *ერიკ კობსზაუმი* ვარაუდობს, რომ 1975 წლის შემდეგ „ისტორიაში უდიდესი, ყველაზე სწრაფი და ფუნდამენტური ცვლილებები ხდებოდა“ (გვ. 8). საზოგადოდ აღიარებული ფაქტია, რომ ხანგრძლივი ურთიერთობები დიდი ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან და გარდა ამისა, ამ ცვლილებების ტემპი უფრო სწრაფია, ვიდრე ოდესმე ყოფილა ისტორიაში. ავიღოთ დასაქმების თემა. არც ისე შორეულ წარსულში ინგლისის სამრეწველო რაიონებში, სამხრეთ უელსსა და ქვეყნის ჩრდილო - დასავლეთში მომუშავე ბავშვებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ დარწმუნებულნი (თუნდაც არ განეცადათ ამით სიხარული), რომ მიჰყვებოდნენ მათი მამების კვალს საბადოში, გემთმშენებელ ქარხანაში, მეტალურგიულ ქარხნებში. ეს სამუშაო ადგილები, რომელთა რაოდენობა მეოცე საუკუნის 1960-1970-იან წლებში შემცირდა, 80-იან წლებში კი, პრაქტიკულად გაქრნენ, დღეს ან ხელისუფლების მიერ იქმნება, ან ტურისტულ ბიზნესში, დასვენების ინდუსტრიაში და მომსახურების სფეროში იჩენენ თავს. არავინ ფიქრობს, რომ ჩვენ შეიძლება ძველ კანონზომიერებას დავუბრუნდეთ. მაღაროელის პროფესია მალე ისეთივე ანაქრონიზმად მოგვეჩვენება, როგორც სპიტალფილდში აბრემუმის მრთველის სამუშაო.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

1945 წლიდან, ჩვენ მივეჩვიეთ ისეთ სამყაროში ცხოვრებას, რომელიცორ ბანაკადაა გაყოფილი. მაგრამ 1989 წლის მოვლენებმა ამას წერტილი დაუსვეს მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი პოლიტიკური წინსვლით, რომლის შედეგი კომუნისტური რეჟიმის ნგრევა იყო (გამონაკლისს წარმოადგენს ჩინეთი მისი ავტორიტარული კომუნიზმის უცნაური კომბინაციით და თავისუფალი ბაზრის მხარდაჭერით). რამდენიმე თვის განმავლობაში გაქრა ყველაფერი, რაც ასე მარადიული ჩანდა. ახალმა „გარდამავალმა“ ეკონომიკურმა სისტემებმა, როგორცაა უკრაინაში, ესტონეთში და ბულგარეთში, გრანდიოზული ცვლილებების და გაურკვევლობის მდგომარეობა განიცადეს და მიუხედავად იმისა, რომ არავის შეუძლია გააკეთოს მათი გრძელვადიანი განვითარების პროგნოზი, მაინც მათი წარსულში დაბრუნება წარმოუდგენელია.

სოციალურ ჭრილში ჩვენ პერიოდულად განვიცდიდით დამაბულობებს, რომლებიც მოქმედებდნენ კუნძულოვან ბრიტანეთზე, განსაკუთრებით მის ცენტრებზე - ლონდონზე, ლივერპულზე, ბირმინგემზე, ბრედფორდზე, ბრისტოლზე და ასევე ხაი-ვაიკომბზეც კი. მსგავსი მოვლენები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშიც ხდებოდა: პარიზიდან ლოს-ანჯელესამდე. ნაკლებად დრამატული, მაგრამ შესაძლოა არანაკლებ შემაშფოთებელი ცვლილებები შეეხო როგორც პირად ურთიერთობებს, რამაც გამოხატულა ჰპოვა ოჯახის ფორმებზე (სოციოლოგებს უყვართ, როცა ამას „არჩეულ ოჯახებს“ უწოდებენ, რომელშიც ჰომოსექსუალური და ლესბოსელები ურთიერთობები, განმეორებითი ქორწინებებია ჩართული), ასევე მშობლების შვილებისადმი ურთიერთობებსაც შეეხო: გაიზარდა მშობლების მოუსვენრობა მათი ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით (და გერებისაც, რაც სულ უფრო ჩვეულებრივი მოვლენა ხდება). მორალის დამცველებს შეუძლიათ იყვირონ „უკან, საფუძვლებისკენ“, მაგრამ ცოტას თუ სჯერა, რომ ადვილია ააღორძინო ოჯახი, ისეთი ფორმით, რომ დაცული იყოს პრინციპი - „სანამ სიკვდილი არ დაგავშორებს“, მითუმეტეს მაშინ, თუ შვილები უკვე გაიზარდნენ.

ყველა ამ ცვლილების აღქმა არაა რთული მასმედიის ეფექტური მუშაობის წყალობით, რომელთა რიცხვი მუდმივად იზრდება და რომლებიც უფრო ხელმისაწვდომნი გახდნენ, ვიდრე ოდესმე. ყოველ დღე ტელევიზიები პოლიტიკური არასტაბილურობის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესახებ შეტყობინებებს გადმოსცემენ. იმდენად, რამდენადაც ტელევიზორი არის ყველა ოჯახში, და გარდა ამისა მრავალი რადიომიმღები, ფასიანი და უფასო ჟურნალ-გაზეთი არსებობს, ადამიანები ეთანხმებიან - და ეს არცაა გასაკვირი - იმას, რომ კარდინალური ცვლილებები ხდება და რომ მათი ტემპი სულ უფრო იზრდება. რა თქმა უნდა ამ ცვლილებების საზრისზე სერიოზული დისკუსიები ეწყობა, რადგანაც მათი მასშტაბი და სიჩქარე დავის საგანი არაა.

ადამიანები ცვლილებების შესახებ ინფორმაციას მთავარი გზით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან იღებენ. ეს აყალიბებს აზრს, რომ ცვლილებების ძირითადი მახასიათებელი არის ინფორმაცია და შესაბამისად ტექნოლოგიებია, რომლებიც ოპერირებენ, ამუშავებენ და გადსცემენ მას. თვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ინფორმაციის შერჩევისა და გადაცემის ახალი საშუალებების წყალობით რადიკალური ცვლილებები განიცადეს - მსუბუქი ვიდეოკამერებიდან, რომლებმაც მისაწვდომი გახადეს ის ადგილები, სადაც ადრე ჟურნალისტებისთვის შეღწევა რთული იყო, სატელიტურ კავშირამდე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გამოსახულება მინიმალურ დროში (რამდენიმე წუთში) რამდენიმე ათასი კილომეტრის სიშორეზე გადაიცეს. მთელს მსოფლიოს შეემლო ენახა როგორ დაინგრა



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ბერლინის კედელი, ბორის ელცინმა როგორ შეწყვიტა სამთავრობო გადატრიალების პოლიტიკა მოსკოვში და როგორ დაიშალა ყოფილი იუგოსლავია. ადამიანის ირგვლივ სიმბოლოების მაღალი კონცენტრაცია - წიგნები, ბროშურები, რადიო, ტელევიზია, ვიდეო, ინტერნეტი - აღნიშნავს ასევე, რომ ინფორმაცია ისეთ საკითხთან მიამრთებაში, როგორცაა სექსუალური კავშირები და ზოგადად სექსთან დაკავშირებული პრობლემები, (დაწყებული მოსალოდნელი ქცევიდან დამთავრებული შიდსის ეპიდემიით), გახდა უფრო ხელმისაწვდომი ვიდრე ადრე და ეს ჩვენს ცნობიერებაზე გარდაუვლად აისახება.

მაგრამ მიმდინარე ცვლილებების პროცესში მზარდი ინფორმაციის ნაკადი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე აუდიტორიისთვის „გაგზავნილის“ უბრალო რაოდენობრივ ზრდას. მაგალითად, გაჩნდა ბევრი ახალი, ინფორმაციულად დატვირთული, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროფესიები, რომლებიც არა ხელსაქმის ცოდნას და ფიზიკურ ძალას, არამედ საუბრის, წერის, თხრობის უნარს საჭიროებენ, რაც შეიძლება მშვენივრად ილუსტრირდეს ყოფილი მაღაროელების მაგალითზე, რომლებიც უკვე ექსკურსიამბოლოებად მუშაობენ და აღდგენილ მაღაროებს სამრეწველო მუზეუმების სტუმრებს ბიმიშის სახით დერხემის საგრაფოში უჩვენებენ. ცნობილია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება გონებაში შფოთვასა და დაბნეულობას აძლიერებს: ქარხანაში კომპიუტერის გამოყენება ნიშნავს, რომ იქ სამუშაო ადგილების ზრდა არაა მოსალოდნელი, მომავალში გაჩნდება სხვა სამუშაო ადგილები, რომლებიც კომპიუტერულ ცოდნას მოითხოვენ. გარდა ამისა, კომპიუტერიზაცია აჩქარებს მუდმივ ცვლილებებს აქ და ახლა, რაც ნიშნავს, რომ მომავალში ახალ პირობებთან უფრო მეტი სამუშაო ძალის ადაპტაცია მოხდება. ტელეკომუნიკაციის გავრცელება მთელს სამყაროში ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ მეგობრებთან და ახლობლებთან ურთიერთობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით (თუ სადმე ახლოს არის ტელეფონი, ინტერნეტკაფე და სხვ) ადვილი გახდა, არამედ იმასაც, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრატეგებს შეუძლიათ, უფრო სწორად, გლობალური ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გადამუშავდნენ და განხორციელდნენ.

ძალიან რთულია მსჯელობა, რამდენი ინფორმაცია და ინფორმაციული ტექნოლოგია იწვევენ ამ გრანდიოზულ ცვლილებებს, ან თუნდაც კორელაციაში არიან მათთან, მაგრამ არავინ არ კამათობს იმაზე, რომ სიღრმისეული ცვლილებები მიმდინარეობს, რომ ისინი მიმდინარეობენ ფართო ფრონტზე და რომ ინფორმაცია ამ პროცესების ნაწილია.

მკვლევარებმა არაერთხელ სცადეს აეხსნათ მასშტაბური ცვლილებები, რომელთაგან ზოგიერთზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, დანარჩენებს კი მომდევნო თავში განვიხილავთ. ავტორთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მოცემულ მომენტში ჩვენ ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიული საზოგადოებისკენ გარდამავალ ეტაპზე ვიმყოფებით, **დენიელ ბელისა** და მისი თანამოაზრეების მიხედვით, ეს ცვლილება ინდუსტრიული (სამრეწველო) საზოგადოებიდან მომსახურების საზოგადოებაზე გადასვლასთანაა დაკავშირებული, სხვები - **ზიგმუნდ ბაუმანი** მაგალითად - ამასროგორც მოდერნიდან პოსტმოდერნზე გადასვლით ხსნიან; **სკოტ ლეშისა** და **ჯან იურისთვის** (Lash and Urry, 1987) ეს არის ორგანიზაციულიდან დეზორგანიზაციული კაპიტალიზმისკენ მოძრაობა; **ფრენსის ფუკუიამასთვის** (Fukuyama, 1992) ცვლილება მხოლოდ „ისტორიის დასარულს“, წარუმატებელ კოლექტიურ ექსპერიმენტზე საბაზრო ეკონომიკის სრულ გამარჯვებას ააშკარავებს. ამ მეცნიერთაგან თითოეული



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

განსხვავებული აქცენტების გაკეთებით ერთი და იმავე ფენომენების ახსნას ცდილობს და რა თქმა უნდა, მათი აზრი და მნიშვნელობა სრულიად სხვაგვარად ინტერპრეტირდება.

ამ თავში მე მინდა ყურადღება გავამხვილო მეცნიერებაზე, რომელიც - თუნდაც ანალიტიკური მიზნით - შეიძლება ორ ურთიერთდაკავშირებულ ბანაკად გავყოთ; მათგან ერთ-ერთის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე განვითარების გაგება შესაძლებელია, როგორც ფორდისტულიდან პოსტფორდისტული საზოგადოებაზე გადასვლა; მეორე ბანაკის წარმომადგენლები კი, თვლიან, რომ ჩვენ უკან ვიტოვებთ მასობრივი წარმოების პერიოდს და შევდივართ საზოგადოებაში, სადაც მოქნილი სპეციალიზაცია დომინირებს. ჩემის აზრით, ორივე ეს პოზიცია შესაძლოა თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე ყველაზე სისტემურ და გავლენიან მოსაზრებას მივაკუთვნოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ამ სკოლის შიგნით მკვეთრი უთანხმოება არსებობს. შემდეგში მე შევეცდები საკუთარი მუშაობის ანალიტიკური ჩარჩოების შენარჩუნებით მოსაზრებების სხვადასხვაობა დავახასიათო. ფორდიზმიდან პოსტფორდიზმზე გადასვლის გათვალისწინებით, მე ვაპირებ ფოკუსირება მოვახდინო იდეებზე, რომლებიც ე.წ რეგულირების სკოლის თეორიებიდან გამომდინარეობს. მის სათავეებთან დგანან: *ალენ ლიპიეცი* (Lipietz, 1987), *მიშელ ალიეტა* (Aglietta, 1979, 1998) და *პოზერ ბუაიე* (Boyer, 1990), თუმცა მე სხვა ანალიტიკოსებსაც, ძირითადად *დევიდ ჰარვის* (Harvey 1989), *სკოტ ლეშს* და *ჯან იურის* (Lash and Urry, 1987, 1994) მივმართავ, ისინი იმ ძირითად მახასიათებლებს განსაზღვრავენ, რომლებიც ცვალებად საზოგადოებაში მიმდინარეობენ. როცა მე მოქნილი სპეციალიზაციის თეორიტიკოსებს მივმართავ, მე - *მაიკლ ლაიორის* და *ჩარლზ სეიბის* „*The Second Industrial Divide*“ (Piore and Sabel's, 1984) ყველაზე მნიშვნელოვან გამოქვეყნებულ შრომაზე ვაკეთებ ფოკუსირებას.

ამ თეორიების მთლიანობაში წარმოდგენა - ძალიან რთული ამოცანაა ამ ერთი თავისთვის, ამიტომაც, მათი აღწერისას მე მივმართავ გამარტივებებს, ანუ, ცვლილებებსა და მათ ინტერპრეტაციებში ინფორმაციის როლსა და მნიშვნელობას მივაპყრობ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამას ვაკეთებ არა მარტო იმიტომ, რომ ინფორმაცია არის ჩემი წიგნის მთავარი თემა და რომ ინფორმაცია, როგორც ჩვენ ვნახავთ, საზოგადოების ტიპების ცვლილებების ცენტრში იმყოფება, არამედ იმიტომაც, რომ ეს შესაძლებლობას მოგვცემს თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის და მისი განსაკუთრებული ფორმების როლის მნიშვნელობა უკეთესად შევაფასოთ.

რეგულირების სკოლის თეორიები

რეგულირების სკოლის თეორიები შექმნა ფრანგი ინტელექტუალების ჯგუფმა, რომლებმაც ადრე მარქსის ეკონომიკური იდეების გავლენა განიცადეს, თუმცა ზოგიერთი მათგანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ თეორიაში, განსაკუთრებით *მიშელ ალიეტა*, გამოეყენნ მას, ხოლო სხვები მაგალითად, *ალენ ლიპიეცი*, მივიდნენ ამ მოსაზრებასთან, იმ მიზნით, რათა ეკოლოგიური მოძრაობის გამოწვევებზე პასუხი გაეცათ. მაგრამ რეგულირების სკოლის თეორია მარქსისტულ ტრადიციასთან მჭიდრო კავშირებს მაინც ინარჩუნებს, ყოველ შემთხვევაში, ერთ მიმართებაში მაინც: ის ისწრაფვის ყოველი ისტორიული პერიოდის საერთო მახასიათებლის გამოვლენით სოციალური ურთიერთობები მთლიანობაში ახსნას. შესაბამისად, ის აქცენტს იმაზე აკეთებს, თუ როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ის მახასიათებლები, რომლებიც საზოგადოებას გამძლეობას და ხანგრძლივობას ანიჭებენ. ეს



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

სწავლულები არასდროს მოახდენენ ყურადღების კონცენტრირებას, ასე ვქვათ მხოლოდ ერთ, ტექნოლოგიურ ინოვაციებზე სამუშაო ადგილსა და სახლში, ისინი ამაში მხოლოდ ცვლილებების გაგების შესაძლებლობას ხედავენ. ისინი ამ ფენომენს არ უარყოფენ, მაგრამ მათი აზრით, ის სხვა ელემენტების კონტექსტში უნდა იყოს, ისეთების როგორცაა მთავრობის როლი, საზოგადოების შემადგენლობა, კორპორატიული ტენდენციები, მომხმარებლის მოდელი, შეცვლილი სატენდერო ურთიერთობები და მოქმედი სიტემის სხვა მახასიათებლები.

რეგულირების სკოლამ ფუნდამენტური საკითხი დააყენა: რა მექანიზმით უზრუნველყოფს კაპიტალიზმი თავის ხანგრძლივ არსებობას? როგორც სისტემა, რომლის საფუძველს შემოსავლების და მოგების წარმატებული ამოღება და კაპიტალის უწყვეტი ექსპანსია წარმოადგენს, სტაბილური როგორ რჩება? რეგულირების სკოლის ტერმინით, როგორ ხდება კაპიტალისტური დაგროვების უზრუნველყოფა? რა თქმა უნდა შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ნებისმიერი სისტემისთვის, რომელიც მუდმივად განვითარებაშია - ხოლო კაპიტალიზმი უდაოდ ასეთია - არასტაბილურობაა დამახასიათებელი, ამიტომაც ცოტათი უცნაურია რეგულირების სკოლის სურვილი დინამიკური ეკონომიკის სტაბილურობის საფუძველები მოიძიოს (Sayer and Walker, 1992). ამ სკოლის დამფუძნებელნი და მიმდევრები იმაზე არ დაობენ, რომ არასტაბილურობა კაპიტალისტური ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია და ადვილად თანხმდებიან იმას, რომ დაქირავებულ მუშებს მუდამ მოუწოდებთ უფრო მეტი მათი დამქირავებლებისგან, ვიდრე ამ უკანასკნელთ უნდათ რომ მისცენ, რომ კონკურენცია ფირმებს შორის ინოვაციის მუდმივ აუცილებლობას ნიშნავს, რომ კომპანიების შერწყმა - ასევე ეკონომიკური ცხოვრების მთავარი ნაწილია. და მაინც, ისინი სვამენ კითხვას: როგორ ახერხებს კაპიტალიზმი დამაბულობის ამ წყაროების მიუხედავად არსებობის განგრძობას? სხვა სიტყვებით, რეგულირების სკოლა ცდილობს განსაზღვროს ის შესაძლებლობები, რომლითაც არასტაბილურობა იმართება და ნარჩუნდება ისე, რომ მუდმივ ცვლილებებში შესვლისას უწყვეტობა მიიღწევა. იმ მნიშვნელობის მიხედვით, რომელსაც ისინი ამ საკითხს ანიჭებენ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი მიისწრაფიან საერთო ეკონომიკური წონასწორობის ნეოკლასიკური თეორიების ალტერნატივა წარმოადგინონ.

რეგულირების სკოლის სწავლულები აპირებენ აკუმულაციის (დაგროვების) რეჟიმი შეისწავლონ, რომელიც ამ, ან სხვა მომენტში მოქმედებს. ამის ქვეშ მოიაზრება ის, რომ აუცილებელია წარმოების დომინირებული ორგანიზაციის, შემოსავლების განაწილების გზების, ეკონომიკის სექტორებისა და მოხმარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება მოხდეს. ისინი ასევე მიისწრაფიან ახსნან რეგულირების შესაძლებლობები, რომლის ქვეშ - იმ „ნორმებს, ჩვევებს, უფლებებს, მარეგულირებელ ქსელს და ყველა სხვა დანარჩენს მოიაზრებენ, რომლებიც დაგროვების(აკუმულაციის)“ პროცესს უზრუნველყოფენ (Lipietz, 1986, c. 19). ამ პროცესს, რომელსაც შეიძლება „თამაშის წესები“ ვუწოდოთ, იმის გადამოწმებისკენ მივყავართ, თუ - დაწყებული სამართლებრივი განწყობებიდან განათლების სფეროში არსებულ პოლიტიკამდე - სოციალური კონტროლი როგორ მიიღწევა.

რეგულირების სკოლის მიმდევრები მიზნად ისახავენ შეისწავლონ მიმართება აკუმულაციის რეჟიმსა და რეგულირების მეთოდს შორის, მაგრამ პრაქტიკაში სკოლის მკვლევართა უმრავლესობა აკუმულაციის შესაძლებლობაზე და ნაწილობრივ, მისი შემადგენლობის ცვლილებებზე ამახვილებს ყურადღებას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ დაახლოებით 1970-იანი წლების ნახევრიდან მუდმივი კრიზისი, რომელიც ყველა ჩვენთანისთვის მეტად, თუ



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ნაკლებად ნაცნობია (რეცესია, უმუშევრობა, ბანკროტი, შრომის სფეროში დარღვევები და ა.შ), აკუმულაციის ახალი რეჟიმის ჩამოყალიბებით იქნა დაძლეული, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხანრძლივი პერიოდის განმავლობაში სტაბილურობას უზრუნველყოფდა, ანუ აკუმულაციის ფორდისტული რეჟიმი, რომელიც 1945 წლიდან 1970-იანი წლების ნახევრამდე საზოგადოების სიმტკიცეს უზრუნველყოფდა, ამის შემდეგ შეუძლებელი გახდა მხარდაჭერა და ის, უხალისოდ, შესამჩნევი დარღვევებით, ადგილს პოსტფორდისტულ რეჟიმს უთმობს, რომელმაც, შესაძლოა კაპიტალისტური ბიზნესის „ჯანმრთელობა“ აღადგინოს და მომავალშიც უზრუნველყოს იგი.

- **შენიშვნა.** რეგულირების სკოლა ისეთი მასშტაბით ითავისებს ამ პრობლემატიკას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეორია, რომელიც თითქოს კრიტიკულად აფასებს კაპიტალიზმს და ბევრ საკითხში მარქსისტული სწავლების კონცეფციიდან და გაგებიდან ამოდის, კონსერვატულ ჩარჩოებშიც კარგად ჯდება. ბოლოს და ბოლოს, თუ ვინმე მიისწრაფვის ახსნას, თუ როგორ ახერხებს კაპიტალიზმი შეინარჩუნოს თავისი არსებობა, მაშინ ეს ხომ მარქსისტული თეზისის უარყოფის ტოლფასია, თეზისისა იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმი რევოლუციის გზით იქნება შეცვლილი სოციალისტური წესრიგის მიერ? რა თქმა უნდა რეგულირების სკოლის თეორიაში არის რაღაც ფუნქციონალიზმისაგან, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ ნარჩუნდება წესრიგი კაპიტალიზმის პირობებში, ამავე დროს ნაწილობრივ ამ სისტემის მწვავე პრობლემებს გაურბის.

შემდეგ მე შევეცდები რეგულირების შესაძლებლობების საშუალებით ვაჩვენო განსხვავებები აკუმულაციის ფორდისტულ და პოსტფორდისტულ რეჟიმებს შორის. როცა მკითხველი პოსტფორდიზმის დაცემის მცდელობამდე და 1980-იანი წლების რეჟიმის აღწერამდე მივა, ის შეძლებს იფიქროს კონტროლის მექანიზმებზე, რომლებიც იმ დროს დიდ ბრიტანეთში - დაწყებული მარგარეტ ტეტჩერის გადამწყვეტი შეტევისგან (პრემიერ-მინისტრი 1979-1991 წწ) ლეიბორისტულ მოძრაობაზე, საშუალო და უმაღლესი სკოლების სწავლის პროცესებზე, ადგილობრივი მმართველი ორგანოების რეორგანიზაციით დამთავრებული - იყო გამოყენებული (Gamble, 1988; Kavanagh, 1990).

აკუმულაციის ფორდისტული რეჟიმი (1945 - 1973)

რეგულირების სკოლის თეორიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს წლები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც **ფორდისტულ - კეინსიანური ერა**, რომლის განმავლობაშიც ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლების განსაზღვრული კომპლექტი სისტემის, როგორც ერთი მთლიანის თანასწორობას უზრუნველყოფდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ექსპანსიის პერიოდი, როცა მასობრივი წარმოება და მოხმარება მეტნაკლებად თანასწორ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, როცა ხელისუფლების მონაწილეობა ეკონომიკაში ამ ჰარმონიას ინარჩუნებდა, როცა სოციალური უზრუნველყოფის განხრით სახელისუფლებო ღონისძიებები ეკონომიკურ წონასწორობას და სოციალურ სტაბილურობას ხელს უწყობდნენ.

ფორდი წარმოების იმ მეთოდის შემქმნელი იყო, რომელიც საქონლის, ფასის შესაბამისად, მასობრივი გამოშვების შესაძლებლობას იძლეოდა, ეს კი მასობრივ მოხმარებას დიდ სტიმულს აძლევდა, ასევე მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მაღალი (შედარებით) ჯამაგირის გადახდა, რაც ასევე საქონლის შემენას ხელს უწყობდა და ამიტომაც მთელი სისტემა მისი სახელით მოიხსენიება. არასწორი იქნებოდა თუ ჩავთვლიდით, რომ ფორდისტული მეთოდები ყველგან



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

და ერთნაირად იყო განხორციელებული (Meyer, 1981). უფრო მეტად ეს ტერმინი ნიშნავს იმას, რომ ფორდის კორპორაცია, განსაკუთრებით მისი განვითარების მწვერვალზე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არქტიპული გახდა, როცა მასში მოწინავე კაპიტალისტური საწარმოს ყველა მთავარი ელემენტი იყო წარმოდგენილი. *კეინსი* იყო ეკონომისტი, რომლის სტრატეგია ხელისუფლების ეკონომიკაში ინტერვენციასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ამიტომ განსაზღვრება „კეინსიანური“ ფართო აზრით უნდა იქნას გაგებული, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლება ერთნაირი მეთოდებით მოქმედებდეს.

ფორდისტულ-კეინსიანური ერა განსაზღვრული მახასიათებლებით გამოირჩეოდა და მათგან ძირითადს შემდგომში განვიხილავთ.

მასობრივი წარმოება (პროდუქცია)

საქონლის მასობრივი წარმოება იმ დროს ნორმად ითვლებოდა. მანქანათმშენებლობისთვის, ელექტრომოწყობილობების მწარმოებელთათვის განმასხვავებელი ნიშანი პროდუქციის სტანდარტიზაციისკენ და მწარმოებლური პროცესისკენ სწრაფვა გახდა, რომელიც საქონლის დიდი მოცულობით, პრაქტიკულად არადიფერენცირებული სახით (მაცივრები, მტვერსასრუტები, ტელევიზორები, ტანსაცმელი და ა.შ.) გამოშვებას უზრუნველყოფდა. ტიპური იყო დიდი საწარმოები. გადამწყვეტ პიკურ მომენტში მხოლოდ ფორდის საწარმოში, დეტროიტში, 40 ათასი ადამიანი მუშაობდა, უფრო მეტი, ინგლისში სამშენებლო საწარმოში, ოქსფორდში (კოული) და ბირმინგემში (ლონგ-ბრიდჯი) 1960-იან წლებში 25 ათასამდე ადამიანი იყო დასაქმებული. იმდენად, რამდენადაც მასობრივი წარმოება ფასებზე ეკონომიას ითხოვდა, რომელიც საწარმოების გაზრდით მიიღწევა, ტიპური გახდა წარმოებები, სადაც რამდენიმე ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. ამის შედეგი გახდა როგორც ცალკეული ზონების, ასევე მთლიანი ქალაქების განვითარება, თუმცა ხშირად ეს ქალაქის ტიპის ის დასახლებები იყო, რომელთა ტერიტორიაზეც ცნობილი პროდუქციების წარმოება ხდებოდა: მაგალითად, *დერბი* ცნობილი გახდა მისი ვაგონმშენებელი ქარხნით და ქარხნით „როლს-როისი“, *შოტონი*, *კორბი* და *კონსეტი* - ფოლადის საწარმოთი, *კონვენტრი* - ავტომობილების საწარმოთი, *ბირმინგემი* - მანქანათმშენებლობით.

სამრეწველო მუშები

ამ პერიოდის განმავლობაში დომინირებული ჯგუფები სამრეწველო მუშები, ძირითადად მამაკაცები, „ცისფერი საყელოები“ გამოირჩეოდნენ, რომლებიც წარმოებასა და მის ზოგიერთ ისეთ ქვედანაყოფებში იყვნენ დაკავებული, როგორებიც ძლიერი რეგიონალური და კლასობრივი გაერთიანებები იყვნენ, რაც მათ პოლიტიკურ ქმედებაში და მისწრაფებებში აისახებოდა. 1951 წელს დიდ ბრიტანეთში დაქირავებული მუშების 70%, ძირითადად ფიზიკურად მომუშავენი, მამაკაცები იყვნენ, ხოლო 20- წლის შემდეგ მომუშავეთა ეს ნაწილი ჯერ კიდევ 60% - ს შეადგენდა (Harrison, 1984, გვ. 381); 1960-იანი წლების დასაწყისში დაქირავებული მუშების დაახლოებით 60% წარმოების სხვადასხვა ქვედანაყოფებში, ქვანახშირის წარმოებიდან დაწყებული ქიმიურით დამთავრებული, შრომობდა, 43% პირდაპირ წარმოებაში იყო დაკავებული (Gershuny and Miles, 1983, გვ. 20).

წარმოების მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინ ორგანიზებულნი იყვნენ კავშირებში, რომლებიც დამსაქმებლების მიერ აღიარებული იყო და მომუშავეთა და ადმინისტრაციის



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ურთიერთობების დარეგულირების ინსტიტუციონალიზებაში მონაწილეობდნენ. ადგილოვრივ დონეზე ესემთანხმებლურ პროცედურებში, უფრო მაღალ დონეზე კი - კორპორატივიზმისკენ მისწრაფებაში აისახა (Middlemas, 1979), რომელიც გულისხმობს, რომ დამსაქმებლების წარმომადგენლები, პროფკავშირების ლიდერები და პოლიტიკოსები ყველა მხარისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზნით რეგულარულ შეხვედრებს ატარებენ. ამ ტენდენციამ სიმაღლეებს 1960-იან წლებში მიაღწია, როცა დაუნინგ-სთრითზე „ლუდი სენდვიჩებით“ შეხვედრები იმართებოდა და პრემიერ-მინისტრმა პროფკავშირების ხელმძღვანელობასთან სოციალური კონტრაქტი გააფორმა.

და მთავარი - ყველაზე ხანგრძლივი ბუმი კაპიტალიზმის ისტორიაში ასევე მუდმივ ეკონომიკურ ზრდას და შესაბამისად სრულ დასაქმებას ნიშნავდა. მცირე დროითი ინტერვალის გარდა, უმუშევრობის მაჩვენებელი 1950-იანი წლებში დაახლოებით 2% იყო, რაც მოსახლეობის უმეტესობას სტაბილურობისა და დარწმუნებულობის შეგრძნებას აძლევდა.

მასობრივი მოხმარება

იმ პერიოდში მასობრივი მოხმარება ნორმა გახდა, რასაც შედარებით მაღალმა და მუდმივად მზრდადმა გამომუშავებულმა საფასურმა (ჯამაგირმა), სრულმა დასაქმებამ, განვადებით გაყიდვის სწრაფმა გავრცელებამ, კრედიტის გაცემის და რა თქმა უნდა, მოხმარების რეკლამის, მოდის, ტელევიზიის და წარმოჩენის და დარწმუნების სხვა ფორმების გამოყენებით სტიმულირებამ შეუწყო ხელი.

დიდ ბრიტანეთში, 1945 წელს უბრალო ხალხისთვის პროდუქტი, რომელიც ადრე, ან მცირე რაოდენობით იყო, ან საერთოდ არ არსებობდა მისაწვდომი გახდა (პარფიუმერია, ჰიგიენის საგნები, მოდური ტანსაცმელი, მტვერსასრუტები, ხალიჩები, მაცივრები, რადიომიმღები, ტელევიზორები და ავტომობილები). ასე რომ, 1970 წლისთვის ათიდან ცხრა ოჯახს ჰქონდა ტელევიზორი, ათიდან შვიდს - მაცივარი, ათიდან ექვსს - სარეცხი მანქანა. რაც შეეხება მანქანებს, თუ 1950 წელს მათი რიცხვი 2,3 მლნ-ს შეადგენდა, უკვე 1970 წელს - 11,8 მლნ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდ ბრიტანეთში ავტომობილები ოჯახების 50%-ს ჰქონდა. (Central Statistical Office, 1983, Table 15.4).

და ყველაზე მთავარი - მასობრივი მოხმარება ეფუძნებოდა იმას, რომ მუშათა კლასისთვის, რომელიც, როგორც მოსახლეობის უმრავლესობის ნაწილი, თავისთავად ყველაზე დიდ ბაზარს წარმოადგენს - მოწოდებული პროდუქტი მისაწვდომი იყო. როცა ეს მოხდა, მოსახლეობას შეეძლო დაედასტურებინა იმ დროინდელი პრემიერ-მინისტრის **ჰაროლდ მაკმილანის** ცნობილი ფრაზა: „ჯერ არასდროს საქმე ასე კარგად არ მოწყობილა“. ის არ ცდებოდა, იმდენად, რამდენადაც ადრე სამომხმარებლო პროდუქტები მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელი იყო (, ალბათ, „ლუდის და მოწვევის“ გარდა).

თუმცა, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მასობრივი მოხმარება მასობრივი წარმოების მუდმივი და სტაბილური მთავარი ხაზი გახდა. ამ პერიოდში პროდუქტების მდგრადი და უზრუნველყოფილი მასობრივი მოხმარება წარმოების ბაზრის გაფართოების საფუძველი გახდა, ხოლო ეს, თავის მხრივ, სრულ დასაქმებას უზრუნველყოფდა. ფორდისტული ეპოქაში ეკონომიკის კეთილდღეობა მყიდველუნარიანობის მაღალი დონით იყო უზრუნველყოფილი (და, ნაწილობრივ, განვადებით და კრედიტით გაყიდვებით); განსაკუთრებით ესმანქანებს და



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ყოველდღურ ტექნიკას ეხებოდა, მაგრამ სხვა სახის პროდუქტებზეც ვრცელდებოდა. ერთი სიტყვით, მოხმარება სათნოებად, ღირებულებად იქცა.

აქ მთავარი, მასობრივ მოხმარებასა და მასობრივ წარმოებას შორის ბალანსის, წონასწორობის დაცვაა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს უზრუნველყოფდა მოხმარების გადაუხრელ ზრდას, რომელიც სამომხმარებლო ბუმით სტიმულირებად მუდმივ დასაქმებას და სამუშაო ადგილების არსებობას ხელს უწყობდა. იმისთვის, რომ ასეთი მდგომარეობა შემდგომშიც უზრუნველყოფილიყო, მარკეტინგის და დიზაინის მთლიანი სისტემა შეიქმნა - ავტომობილის მოდელების ყოველწლიური ცვლა, სწრაფად მზრდადი სარეკლამო და ახალი სავაჭრო ინდუსტრია, გადახდის მისაღები პირობები - თუმცა, აქ მთავარი დასაქმების სრულყოფილად უზრუნველყოფა და მოსახლეობის შემოსავლის მუდმივი ზრდა იყო. თუ სამომხმარებლო მოთხოვნა მაღალი რჩებოდა (ამასთან ხელისუფლება ხშირად ერეოდა ეკონომიკაში, რომ ეს უზრუნველყოფოდა), მაშინ ეს ეკონომიკის განვითარებას სტიმულს აძლევდა.

ნაციონალური ხელისუფლება და ნაციონალური ოლიგოპოლია

ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობა ვითარდებოდა ნაციონალური ხელისუფლების შიგნით და მათ ტერიტორიაზე სხვადასხვა სექტორში ჩვეულებრივ ნაციონალური ოლიგოპოლიის ჯგუფები დომინირებდნენ. მრეწველობის ნებისმიერ სექტორში: ელექტრონიკაში, ტანსაცმლის წარმოებაში, საცალო წარმოებაში, ან მანქანათმშენებლობაში 3-4 კომპანია დომინირებდა, რომელთა განსაზღვრა ადვილად შეიძლებოდა. ასე, 1963 წელს ბრიტანულ მრეწველობაში 5 წამყვან კომპანიას ყოველ სავაჭრო განყოფილებაში გაყიდვების თითქმის 60% ჰქონდა (Westgaard and Resler, 1975, გვ. 152). მთლიანობაში 1960 წელს 100 ლიდერი კომპანია მთელი ბრიტანული მრეწველობის 1/3-ს აწარმოებდა, რაც დიდი კორპორაციების დომინირებას ამტკიცებს. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი კომპანიები შიდა ბაზარს ინარჩუნებდნენ: 1968 წელს ბრიტანულ ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის 87% ბრიტანული კომპანიების მიერ იყო წარმოებული.

გარკვეული დროის გასავლის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისური მრეწველობა საკამოდ ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა. ის სამამულო ბაზრის დიდ ნაწილს (კონკურენცია იყო არც ისე დიდი) აკონტროლებდა, მუშაობდა მუდმივად მზარდ და სტაბილურ ბაზარზე, ასევე მაღალ დონეზე გამოიყენა ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირები, რომლებიც მისი ინტერესების მაქსიმალურ კონტროლს და კოორდინაციას უზრუნველყოფდნენ.

დაგეგმარება

არც ისე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დაგეგმარებას (Addison, 1975), ყველას მიერ აღიარებული მისი როლი ყველაზე ნათლად „კეთილდღეობის სახელმწიფოს მშენებლობაში“ გამოვლინდა, ასევე მან ასახვა ეკონომიკის სფეროში ხელისუფლების ჩარევის კანონის შესახებ კონსესუსში ჰპოვა (კეინსიანური პოლიტიკა). ამ აზრით აღსანიშნავია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთში აგორებული ნაციონალიზმის ტალღა, როცა სახელმწიფოს ხელში ენერგომომარაგების და კომუნიკაციის დიდი ნაწილი გადავიდა, საიდანაც 1950-იან წლებში კერძო სექტორს მიეცა შესაძლებლობა მხოლოდ ფოლადის მრეწველობა დაებრუნებინა. სხვა განყოფილებები - ნახშირი, გაზი, ელექტრობა - სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩა, პარტიებს შორის ამ საკითხისადმი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად. რეგულირების



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

სკოლის თეორიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გაძლიერებული დაგეგმარებით გამაგრებული ასეთი კონსესუსი, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა, რომელიც სახელმწიფოდან განათლების და ჯანდაცვის უზრუნველყოფის კუთხით რეალურ სარგებელს გრძნობდა, ფორდისტული სისტემის სტაბილურობას მხარს უჭერდა.

აკუმულაციის ფორდისტული რეჟიმის აღწერა გულისხმობს განზოგადებას, რომელიც შეიძლება კრიტიკას დაექვემდებაროს. მაგალითად, ომის შემდგომ ბრიტანეთში ათწლეულის, როგორც სტაბილურობის და აყვავების ხანის დახასიათება; აქ ძალიან რთულია სიდუხჭირის მუდმივი პრობლემები, სოციალური კონფლიქტები და ეკონომიკური არასტაბილურობა ვერ დავინახოთ. მრავალი მათგანი ვინც 1950-1960-იან წლებში ცხოვრობდა, უცნაურად მიიჩნევენ, რომ ეს პერიოდი აღიწერება როგორც დრო, როცა ტაბუ იყო მოხსნილი კრედიტებზე, ან დრო, როცა ბრიტანული მრეწველობა უცხოური კონკურენციისგან დაცული იყო. შემდეგ ფორდიზმი მის სამხრეთმერიკულ და დასავლეთევროპულ ვარიანტში სხვა ქვეყნებზე ძალიან ადვილად გადადის. მაგრამ რა კავშირი აქვს ამას ყველაფერს, ასე თქვათ, მალაიზია, იაპონია და ასევე იტალია და საბერძნეთისთვის, უცნობი რჩება.

პერიოდიზაციის საკითხიც ასევე პრობლემატურია : როდის იყო საერთოდ ფორდიზმის ეპოქა? როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, *ჰენრი ფორდმა* მისი საწარმო მეოცე საუკუნის მეორე ათწლეულში დაარსა. აღსანიშნავია, რომ თვით ფორდისტული კონცეფცია *ანტონიო გრამსკი* გაგვაცნო (Gramsci, 1971, გვ. 277-318). მიღებულია მოსაზრება, რომ დიდი ბრიტანეთი ფორდისტული ქვეყნების ლიდერს, აშშ-ს ჩამორჩებოდა, მაგრამ თარიღის ასეთ ზუსტ განსაზღვრას (რატომ მაინცდამაინც 1945?) ისევე, როგორც სხვადასხვა სახელისუფლებო ინტერვენციის მქონე ქვეყნების მიმართ ერთნაირ მიდგომას ჩიხში შევყავართ (შეადარეთ, მაგალითად დიდი ბრიტანეთი და აშშ, სად იყო უფრო მეტი laissez-faire? (თვისუფალი მეწარმეობა?)).

შემდეგში რეგულირების სკოლის შესახებ არსებულ კრიტიკაზე ვისაუბრებ, მაგრამ ზუსტად ახლა მკითხველს შეუძლია აკუმულაციის ფორდისტული სისტემის შესახებ ყველაზე გასაგები მოსაზრება მიიღოს, მხედველობაშია, 1970-იანი წლების მოვლენების გათვალისწინებით, რამდენიმე ძირითადი სოციალ-ეკონომიკური ტენდენცია, ზუსტად მაშინ, როცა რეცესია და ნავთობზე ფასების სწრაფი ზრდა დაიწყო (1973 წელს მოხდა შოკი, გაჩნდა მოსაზრება, რომ ფორდისტული რეჟიმის ქვეშ მოაზრებული განვითარების ხელშეწყობა უკვე არ შეიძლება და მაშინ ჩამოყალიბდა იმ ტენდენციების აღმნიშვნელი პოსტფორდიზმი, რომლებიც ფორდისტულ რეჟიმს ძირს უთხრიდა. ამ ცვლილებების შედეგად ეპიცენტრში ინფორმაციის წარმოების, გადამუშავების და შენახვის შესაძლებლობები აღმოჩნდნენ.

გლობალიზაცია

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ფორდიზმის დაცემასთან მიგვიყვანა და რომელიც ხშირად, როგორც პოსტფორდიზმის განსაზღვრული მახასიათებელი მოიხსენიება, გლობალიზაცია გახდა. ბოლო პერიოდში ეს ტერმინი მართვის სფეროში მომხდარი ცვლილებებით შემოფოთებულ სოციოლოგებთან, პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან ერთ-ერთი ყველაზე მოხმარებადი გახდა (Held et al., 1999). გლობალიზაცია - ეს არის გრძელვადიანი პროცესი და ის ჯერ არც დასრულებულა, თუმცა 1970 წლიდან საკამოდ დაჩქარდა. ამ ტერმინით



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

აღინიშნება არა მარტო ინტერენაციონალიზაციის ზრდა, რომელიც სუვერენულ-ნაციონალური სახელმწიფოების გაზრდილ ურთიერთქმედებას გულისხმობს, გლობალიზაცია ბევრად უფრო მეტს ნიშნავს: ის **სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ინტეგრაციის ზრდის პარალელურად ადამიანურ ურთიერთობებში ურთიერთგაგების და ურთიერთშეღწევადობის ზრდას ნიშნავს.** ზოგიერთებს უნდათ გლობალიზაცია, როგორც მთავარი ეკონომიკური ფაქტორი წარმოადგინონ, რომელიც ბაზრების, ვალუტების და კორპორაციული ორგანიზაციების მჭიდრო კავშირებში ვლინდება. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ამავე დროს გლობალიზაცია სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს. მაგალითად, მიგრაციის, ტურიზმის ფეთქებადი ზრდა, ჰიბრიდული მუსიკალური ფორმების წარმოშობა და პოლიტიკური განვითარების გლობალური სტრატეგიით გამოწვეული მზარდი შემფოთება, რომელიც კაცობრიობის გადასარჩენად საფრთხეებსა და გამოწვევებზე პასუხს გულისხმობს.

კაპიტალიზმმა - როგორც სოციალურმა წყობილებამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გლობალიზაციას - მისი ფანტასტიკური წარმატებულობა დაამტკიცა: ის მთელს მსოფლიოში გავრცელდა და ამავედროულად ინდივიდის პირად ცხოვრებაში ღრმად შეიჭრა. ამ სახით, კაპიტალიზმი მთელს მსოფლიოში მოქმედებს (სწრაფად ფართოვდება ადრე იზოლირებული ისეთი ტერიტორიების მონაწილეობის ხარჯზე, როგორებიცაა ყოფილი საბჭოთა კავშირი და ჩინეთი) და ის იმავედროულად ისეთ ღრმა კერძო სფეროში აღწევს, როგორიცაა ბავშვების მოვლა, პირადი ჰიგიენა და ყოველდღიური მომარაგება საკვებით. გარდა ამისა, კაპიტალიზმმა მთელი მსოფლიო ურთიერთკავშირში ჩართო, ასე მაგალითად, ყავას ჩვენ ვიღებთ მსოფლიოს ერთი ნაწილიდან, ღვინოს მეორედან, სატელევიზიო პროგრამებს - მესამედან, ტანსაცმელს - მეოთხედან და ყველაფერი ეს უზრუნველყოფილია ურთიერთკავშირებით, რომელიც მთელ მსოფლიოს ერთიან ინტეგრირებულ მთლიანობად აქცევს მოკლედ, რომ ვთქვათ, განვითარების ტენდენციას ისეთი მსოფლიო გარემოს შექმნასთან მიყვავართ, რომელიც ურთიერთობების და ურთიერთკავშირების განმტკიცებას უწყობს ხელს, მიუხედავად იმისა, რომ პირადი, კერძო ცხოვრება შეიძლება, როგორც ინდივიდუალური და ლოკალიზებული იქნეს აღქმული.

გარდა ამისა გლობალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსია გახდა, რომლებმაც უმეტესად ამ პროცესის განვითარებას ხელი შეუწყვეს. რა თქმა უნდა, ტრანსნაციონალური კორპორაციები მთელი მეოცე საუკუნისთვისაა დამახასიათებელი; მაგალითად Ford Motor Company ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გამოვიდა საზღვარგარეთის ბაზარზე. ასევე არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ უკანასკნელ ათწლეულში მათ სწრაფ ზრდასა და გავრცელებას. ახლა 50 ათასი ტრანსნაციონალური კორპორაცია არსებობს და თუ 1950-იან წლებში ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციების უმეტესობას შვილობილი კომპანიები მაქსიმუმ 6 ქვეყანაში ჰქონდა, ახლა ასეთ ფართო მასშტაბებში მხოლოდ ძალიან ცოტა მათგანი ოპერირებს (Dicken, 1992, გვ. 50).

ტრანსნაციონალური კორპორაციების სიდიდის და მასშტაბის გაგება არაა ადვილი, მაგრამ გარკვეული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია, თუ სახელმწიფოს და კორპორაციების სიმდიდრეს ერთმანეთს შევადარებთ, ირკვევა, რომ სიმდიდრის 100 უმსხვილესი მფლობელი ტრანსნაციონალური კორპორაცია, ისეთი კორპორაციები როგორებიცაა General Motors (2000 წელს მისმა შემოსავალმა შეადგინა 185 მლრდ დოლარი), IBM (88 მლრდ), Shell (190 მლრდ) და General Electric (130 მლრდ) რეალურად „მსოფლიო ეკონომიკის მადომინირებელ ძალას“ წარმოადგენენ (Dicken, 1992, გვ. 49). ტრანსნაციონალური კორპორაციები აწარმოებენ მთელი



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

მსოფლიოს წარმოების 25%-ს (Held et al., 1999, გვ. 282). გარდა ამისა, ტრანსნაციონალური კორპორაციები ყველაზე მაღალ დონეზე არიან კონცენტრირებულნი: ყველაზე დიდ კორპორაციებს ყველა შესაბამის სექტორში ლომის წილი აქვთ. დიკენი (Dicken, 1992), მაგალითად, „მილიარდერთა კლუბში“ მხოლოდ 600 ტრანსნაციონალურ კორპორაციას რთავს, რომლებიც მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის მრეწველობისა და სოფლისმეურნეობის პროდუქციის 20% იძლევიან, ხოლო ამ გიგანტებს შორის „მხოლოდ 74 ტრანსნაციონალურ კორპორაციაზე მთელი გაყიდვების 50% მოდის“ (გვ. 49).

გლობალიზაციას, რომელითაც ტრანსნაციონალური კორპორაციები მოქმედებენ და რომელსაც ქმნიან (თუ არ აკონტროლებენ) რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვს. მათ შორის ყველაზე მთავარს შემდეგში განვიხილავთ.

ბაზრის გლობალიზაცია

ბაზრის გლობალიზაცია ნიშნავს, რომ ძირითადი კორპორატიული მოთამაშენი ახლა უკვე იმის გათვალისწინებით მუშაობენ, რომ მათი ბაზარი მთელი მსოფლიო ხდება და ბაზრები ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის ღიაა, რომელთაც მათზე მუშაობის საკმაო რესურსი და სურვილი აქვთ. რა თქმა უნდა, დღესაც ზოგიერთი ტრანსნაციონალური კორპორაცია წმიდა გლობალურ სტრატეგიას ავითარებს (დიკენსი მათ რიცხვს აფასებს 4- 5%-მდე), რამდენადაც განვითარება ამ მიმართულებით მიდის.

გლობალიზაცია ნიშნავს, რომ ზოგიერთი ბაზარი უფრო დიდი გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა და მათში მონაწილეობა სულ უფრო შეზღუდულია იმ მოთამაშეების მიერ, რომლებსაც უზარმაზარი რესურსები აქვთ და რომლებიც ამ გლობალურ მონაწილეობას უზრუნველყოფენ. პარადოქსია, რომ საკვანძო ურთიერთობებში ბაზრები წარმოჩნდნენ, როგორც უფრო სასტიკი კონკურენციის არენა, ვიდრე ადრე იყო, სწორედ იმიტომ, რომ მათთვის იბრძვიან ისეთი გიგანტები, რომლებიც გლობალური მონაწილეობის უზრუნველსაყოფ რესურსებს ფლობენ. რაღაც პერიოდში ცალკეულ ბაზრებზე შეიძლება დომინირებდეს ნაციონალური ოლიგოპოლია, მაგრამ დროთა განმავლობაში ის აუთსაიდერთა რიგებში გადადის (და ენერგეტიკული ნაციონალური კორპორაციები, რა თქმა უნდა, გამოდიან ქვეყნის ფარგლებიდან, იმიტომ, რომ სხვა ბაზრები დაიპყრონ). ეს ახალი მოთამაშეები, საკუთარი თავისთვის გლობალური მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ერთდროულად უფრო მასშტაბურები და სოციალურად უფრო დაუცველები აღმოჩნდებიან, ვიდრე ოდესმე ყოფილან. ეს პროცესი შეიძლება შემდეგი მაგალითის საფუძველზე გავიგოთ, ავტოწარმოება უკვე გლობალურ მრეწველობას წარმოადგენს, რამდენადაც გადაადგილების საშუალებათა ბაზარს გლობალური ხასიათი აქვს და ეს ნიშნავს, რომ ყოფილ ნაციონალურ მწარმოებლებს - ლიდერებს უკვე თავი სრულ უსაფრთხოებაში არ შეუძლიათ იგრძნონ. ასე უმსხვილესი ინგლისური ავტომწარმოებელი Rover 1994 წელს BMW-მ შემოიერთა. იგივე ხდება მრეწველობის სხვა სფეროებშიც. დღეს მაზარი სულ უფრო და უფრო გლობალური ხდება.

უდავოა, რომ ეს გლობალური ბაზარი სამ დიდ სეგმენტად - ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და სამხრეთ - აღმოსავლეთი აზია - იყოფა. ამის გამო დანარჩენი მსოფლიო კაპიტალდაბანდებისთვის ნაკლებად პერსპექტიულია, მაგრამ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რა თქმა უნდა, აღნიშნულ სამ სეგმენტში სულ უფრო მეტად ოპერირებენ. გარდა ამისა, ეს უხეში დაყოფა გლობალური ბაზრის სხვა მნიშვნელობასაც



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

გვახსენებს. ერთი, ან უფრო მეტი თაობის არსებობის მანძილზე გაჩნდა ის, რასაც არქექტიპული გლობალურ კორპორაციებს შეიძლება ვუწოდოთ უფრო ზუსტად კი, იაპონური კონგლომერატები, რომლებსაც ხშირად ნაციონალური საფუძველი არ აქვთ(თუ არ ვილაპარაკებთ იმ ქვეყნებზე, რომლებშიც ისინი ინვესტიციებს დებენ). ისეთი გიგანტები, როგორცაა Toshiba (შემოსავალმა 2000 წელს 62 მლრდ დოლარი შეადგინა), Matsushita (69 მლრდ), Toyota (120 მლრდ) და Sony (59 მლრდ) თავიანთი პროდუქციის განთავსებისთვის სხვადასხვა გლობალურ სტრატეგიას იყენებენ. დროთა განმავლობაში იაპონურმა კორპორაციებმა - მანქანათმშენებლობაში, საოჯახო ეტექნიკაში, ხოლო ბოლო დროს ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებში - დაამტკიცეს, რომ დასავლური კორპორაციების დომინირებას სერიოზულ საშიშროებას უქმნიან. იაპონურმა გამოწვევამ შედარებით მდგრადი ეკონომიკური წესრიგი გადაატრიალა, ყოველ შემთხვევაში რაღაც დროით მაინც.

წარმოების გლობალიზაცია

კორპორაციები სულ უფრო მეტად მუშაობენ გლობალურ ბაზარზე და შესაბამისად მათ თავიანთ მუშაობას მთელს მსოფლიოში ორგანიზება უნდა გაუკეთონ. **გლობალური საწარმოო სტრატეგიები ამ პროცესის განმასხვავებელი ნიშანია და ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთ ოფისებს სულ უფრო ხშირად ანთავსებენ, ვთქვათ, ნიუ-იორკში, დიაზაინ-ბიუროს - ვირჯინიაში, წარმოებას - სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, კრების დარბაზებს - დუბლინში, გაყიდვების მენეჯერების საქმიანობა კი, ლონდონიდან ხორციელდება.** ეს შეიძლება რამდენადმე გადაჭარბებული მაგალითი იყოს, მაგრამ მსგავსი ქმედებისკენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისთვის გლობალიზაციის შეუზღუდავებელი ლოგიკა უბიძგებს.

აქ არ შეიძლება არ ავლნიშნო, რომ **ბაზრის გლობალიზაციასთან დაკავშირებული ეს პროცესი, წინა პლანზე ინფორმაციის პრობლემას აყენებს, ვინაიდან მთელს მსოფლიოში გადანაწილებულმა მარკეტინგულმა სტრატეგიამ და წარმოებამ მხოლოდ სრულყოფილი ინფორმაციული მომსახურების პირობებში შეიძლება იარსებოს.** შემდგომში ამაზე უფრო მეტს ვისაუბრებ, აქ კი მხოლოდ შემდეგს ავლნიშნავ: წარმოების გლობალიზაცია იწვევს როგორც ამას დიკენი (Dickens, 1992) უწოდებს, „ინფორმაციულ საქმიანობის“ ზრდას, რომელიც „წარმოების სხვადასხვა ნაწილებს ერთ მთლიანში აერთიანებს“ (გვ. 5), ანუ წარმოების გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პირობა ისეთი ინფორმაციული მომსახურების გლობალიზაცია გახდა, როგორებიცაა რეკლამა, საბანკო საქმე, დაზღვევა და კონსალტინგური მომსახურება, რომლებიც „ახალ გლობალურ ინფრასტრუქტურას“ შეადგენენ კიდევ (Dickens, 1992, გვ. 5). მაგალითად, American Express, Citicorp, BankAmerica, Lloyds და Merrill Lynch ასევე გავრცელდნენ მსოფლიოში, იმ კორპორატიული კომპანიების მომსახურებით, რომლებსაც თავიანთი სტრუქტურითა და ორიენტაციით შეესაბამებინ.

ფინანსების გლობალიზაცია

როგორც უკვე ვთქვი, გლობალიზაციის მთავარი ასპექტი მთელს მსოფლიოში ისეთი ინფორმაციული მომსახურების განვითარებაა, რომლებიც საბანკო და უსაფრთხოების კორპორაციებს უზრუნველყოფენ. ეს გვთავაზობს ფინანსების გლობალიზაციას, მაგრამ უფრო



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

მეტს - მუდმივად მზარდ ინტეგრირებულ გლობალურ ფინანსურ ბაზარს - ნიშნავს. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმდინარე გაუმჯობესებასთან, საბირჟო ბაზრების დერეგულაციასთან და ვალუტის გაცვლით კურსზე კონტროლის გაუქმებასთან ერთად, ჩვენ ახლა ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ ფინანსური ინფორმაცია რეალურ დროში მოვიპოვოთ, რათა აქციებით და ობლიგაციებით ვაჭრობაში მონაწილეობა მუდმივად მივიღოთ. ამ პროცესებმა საერთაშორისო ფინანსური ტრანსაქციების მოცულობა და სიჩქარე, ამავე დროს ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის ფინანსური გლობალური ბაზრებისგან დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნად გაზარდეს.

ინფორმაციული ნაკადების მასშტაბი და სიჩქარე განსაკვიფრებელია. უილ ჰატონი (Hutton, 1994), მაგალითად, აღნიშნავს, რომ სავალუტო გაცვლის ბრუნვა უკვე ნაციონალური ეკონომიკის მოცულობას სჭარბობს(აღემატება) და მეტნაკლებად დიდ სავაჭრო ნაკადებს ქმნის (ექსპორტ და იმპორტის შეფარდების ტრადიციული მეთოდის ეროვნული ეკონომიკური აქტივობის საზომად გამოყენება). ასე, რომ, „მსოფლიო ვაჭრობის საერთო მოცულობა 1993 წელს აშშ ეკონომიკის 2/3-ს შეადგენდა; მსოფლიო სავალუტო ბირჟებს დასჭირდებოდათ ორი კვირა, რათა იმავე შედეგისთვის მიეღწიათ და ეს მაშინ, თუ მხედველობაში მიღებული არ იქნებოდა საგარეო ვაჭრობა, ობლიგაციებისა და აქციათა ბაზრები“ (გვ. 13). ისტორიული პერსპექტივის შექმნით, ჯოის კოლკო (Kolko, 1988) მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საექსპორტო-საიმპორტო ვაჭრობის ექსპონენტურ (მაჩვენებლიანი) ზრდას იკვლევდა. 1993 წელს აშშ -ში ჟურნალმა ფორტუნამ გვაუწყა, რომ ფულადი ნაკადები, რომლებსაც აშშ-ი ბაზირებული Clearing House Interbank Payments System-ის მეშვეობით მოძრაობს და საშუალოდ დღეში 850 მლრდ დოლარ შეადგენს, ზოგჯერ 1 ტრლნ დოლარის ნიშნულში გადადიოდნენ (გვ .26). 2000 წლისთვის ეს რიცხვი 1,5 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა - ჯამური თანხა, რომელიც მოსახლეობის უმეტესობისთვის ნაკლებად არის გასაგები.

კომუნიკაციის გლობალიზაცია

გლობალიზაციის სხვა, ამ საკითხთან ასევე მჭიდროდ დაკავშირებული მაჩვენებელი კომუნიკაციური ქსელების გავრცელება გახდა, რომლებიც მთელს მსოფლიოს მოიცავენ. რა თქმა უნდა, ამისთვის ტექნიკური საფუძველი არსებობს - ფიჭური კავშირი, ტელეკომუნიკაციური აღჭურვილობა და ამის მსგავსნი, რასაც კიდევ დავუბრუნდებით, მაგრამ აქ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ადრე განხილულ ფენომენებს, სიმბოლური გარემოს შექმნას, რომელიც მთელს მსოფლიოს იპყრობს - და ძალიან მნიშვნელოვან ნაწილში - ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერაა ორგანიზებული.

ყოველივე ამას მრავალმხრივი სოციალური და კულტურული შედეგები აქვს, მაგრამ აქ მინდა ინფორმაციული სფეროს შექმნაზე ვისაუბრო, რომელიც ყველასთვის ერთიან სურათს აწარმოებს. მაგალითად, მთელს მსოფლიოში ამერიკული კინოპროდუქცია იზიდავს ყველაზე დიდ აუდიტორიას. 20 ყველაზე დიდი ფილმი მთელს მსოფლიოში - ყოველთვის არის ამერიკული პროდუქტი. მათ რიცხვში შედიან „ტიტანიკი“(1997), „ვარსკვლავური ომები“ (1999), „ადამიანი შავებში“ (1997), „ალადინი“ (1992), „ინდიანა ჯონსი და უკანსაკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა „(1989)- ყველა ამ ფილმმა არანაკლებ 500 მლნ დოლარის შემოსავალი, ხოლო „ტიტანიკმა“ - თითქმის 2 მილიარდი დოლარი მოიტანა. ყველა ისინი იყვნენ ლიდერები გერმანიაში, ბრიტანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპნეთში, ავსტრალიაში, აშშ-ში - ყველგან,



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

სადაც არის კინო. აქედან გამომდინარე, მოთხოვნილებებით და ინტერესებით ყველაზე სხვადასხვა აუდიტორიისთვის იქმნება საერთო სიმბოლური სფერო. აქ სატელევიზო შოუც, საინფორმაციო სააგენტოები და რა თქმა უნდა მოდის ინდუსტრიაც უნდა დავამატოთ.

როგორც არ უნდა შევხედოთ ამ ფაქტებს მიღებული შედეგების ფონზე, რომლებიც მათ შეუძლიათ ქონდეთ, როგორც კონკრეტული ადამიანებისთვის, ასევე კონკრეტული ქვეყნისთვის, კომუნიკაციის გლობალიზაცია გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. არ შეიძლება დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ ამერიკული „საპნის ოპერები“ მაყურებლებს ცხოვრების იმ სტილისკენ უბიძგებენ, რომელიც მათშია წარმოდგენილი, რომ სარეკლამო კომპანიებს რეალურად მივყავართ წარმატებისკენ, რომ როკ-მუსიკა, მომდინარე ლოს-ანჯელესიდან და ლონდონიდან, მის ახალგაზრდა ფანებს მთელს მსოფლიოში აიძულებს მათ ფავორიტებს ჩაცმასა(ტანსაცმელში) და კვებაში(საკვებში) მიზაძონ. ამასთან უდავოა, რომ ეს გლობალური სურათი სხვადასხვა კულტურის ელემენტებს შეიცავს, ასე რომ, ისინი ერთი მიმართულებით ორიენტირებულნი არ არიან, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის განვითარება ამ სიმბოლური გარემოს გარეშე რთული წარმოსადგენია. თავისთავად ის შეიძლება პოტენციური მყიდველის დაინტერესებისთვის საკმარისი არ იყოს, მაგრამ კომერციული ინიციატივების უმეტესობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კომუნიკაციის გლობალიზაცია გლობალურ საბაზრო სისტემაში დამხმარე, წინააღმდეგობრივ როლსაც კი თამაშობს, რომლის ნათელ მაგალითს თვითონ წარმოადგენს. რთულია, თანამედროვე მარკეტინგში ბრენდის როლის გათვალისწინებით რაიმე სახის დასკვნამდე მივიდეთ, როცა პროდუქტების და კორპორაციების ჯგუფი იმ განსაზღვრულ სახესთან ასოცირდება, რომელიც მედიაინდუსტრიის საშუალებით ვრცელდება. გაიხსენეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ისეთი ფორმების სიმბოლოები, როგორცაა Nike, ან Calvin Klein. ზოგჯერ გლობალური მედიებს შეუძლიათ ამ ბრენდებს ზიანი მიაყენონ, მაგრამ ერთი უდავოა - მათ გარეშე ეს ბრენდები უბრალოდ ვერც იარსებებდნენ.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურა

გლობალიზაციის ყოველი შეფასება წინ სწევს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მოთხოვნილებას და თავისი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში, იმისთვის, რომ ის მსოფლიო ეკონომიკის ცვალებად პუნქტებს შეესაბამებოდეს. რამდენადაც გლობალიზაციის პროცესები ფართოვდებიან და გრძელდებიან, ინფორმაციის დამუშავებამ და ინფორმაციულმა ნაკადებმა მათში თავიანთი ადგილი უნდა დაიკავოს.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ:

- მსოფლოში ისეთი მომსახურების გავრცელება და ექსპანსია, როგორებიცაა საბანკო მომსახურება, ფინანსები, დაზღვევა და რეკლამა, რომლებიც გლობალიზაციის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ. ასეთი სამსახურების თუ მომსახურების გარეშე ტნკ - ები მუშაობას ვერ შეძლებენ. რასაკვირველია, ინფორმაცია მათ ბიზნესსში შედის, მათი სამუშაოს საკვანძო ნაწილია. ესაა ინფორმაციები ბაზრების, მომხმარებლების, რეგიონების, წარმოების, რისკების, ინვესტირების მოდელების, საგადასახადო სისტემების შესახებ და ა.შ. ასეთი მომსახურების გასაწევად აუცილებელია ინფორმაციის შენახვა, ასევე წარმოება და გავრცელება.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

მისი ღირებულება ანალიტიკური შრომის, მოთხოვნაზე პასუხის დროულობისა და შეპირისპირების წყალობით იზრდება.

- გლობალიზაცია კომპიუტერების წარმოებას და, ასევე, იქ სადაც აუცილებელია, კომუნიკაციური ტექნოლოგიების სრულყოფას ითხოვს. ბოლო პერიოდში ჩვენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას და მათი მდგომარეობის სრულყოფას - ფაქსის აპარატებიდან საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელებამდე - ვაკვირდებოდით, რაც გლობალური ბიზნეს-სტრუქტურების კოორდინაციისთვის აუცილებელი პირობაა.

- ამ ინფორმაციულმა ინფრასტრუქტურამ ინფორმაციული ნაკადების მეტისმეტ ზრდასთან მიგვიყვანა. მაგალითად, ეკონომიკური ჟურნალი Fortune (1993, December, 13. გვ.37) გვაუწყებს, რომ აშშ - ი საერთაშორისო სატელეფონო კავშირი 1981 – 1991 წლების პერიოდში 500% - ით (500 მილიონიდან 2,5 მილიარდამდე) გაიზარდა. გარდა ამისა საერთაშორისო ინფორმაციულ სუპერმაგისტრალეებში ყველგან ფინანსური ოპერაციების საოცარი ზრდა და გაფართოება შეიმჩნეოდა (მართალია, ეს ოპერაციები ძირითადად მდიდარი ქვეყნების დიდ ქალაქებში იყო კონცენტრირებული). სავალუტო ვაჭრობა, პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების განსხვავებული მოდელები, ფასიანი ქაღალდებისა და აქციების ბაზრები სწრაფად იზრდებოდნენ, რითაც გლობალური ბაზრებისათვის ფინანსური ინფორმაციული ნაკადების მნიშვნელობას ესმებოდა ხაზი.

ფორდიზმის დაცემა?

გლობალიზაცია ნიშნავს, რომ ფორდისტული რეჟიმის შენარჩუნება სულ უფრო რთულდება. და როგორ შეიძლება იყოს სხვაგვრად, თუ ფორდიზმის ორგანიზაციული წინაპირობა - ნაციონალური ხელისუფლება - ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიური გაფართოებისა და მთელს მსოფლიოში მზრუნავი ინფორმაციის მუდმივი ნაკადის ქვეშ ექცევა და გავლენას კარგავს?! ფორდიზმი სუვერენული ნაციონალური მთავრობების არსებობას ეფუძნებოდა, რომელსაც ქონების მართვა და საკუთრების განკარგვა შეეძლო და მის ტერიტორიაზე გარკვეულ პოლიტიკის გატარება, საგარეო კონკურენციისგან ადგილობრივი კომპანიების უსაფრთხოების დაცვა და პრაქტიკაში ნაციონალური კორპორაციების გაყოფის თავიდან აცილება შეეძლო. მაგრამ ყველა ეს პირობა გლობალური მარკეტინგის, სავალუტო ოპერაციების და მთელს მსოფლიოში ბიზნესის გაფართოების გაცოფებული ტემპის მქონე ჩვენს რეალობაში სულ უფრო მეტად უმნიშვნელო ხდება.

შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ ცხოვრების ბევრს სფეროში მთავრობის როლი - სამართლიდან და სამართალდაცვითი ორგანოებიდან განათლებამდე და სოციალური უზრუნველყოფამდე - მნიშვნელოვანი რჩება, რომ ხელისუფლება უწინდებურად ადამიანების თვითიდენტიფიკაციის ძირითად ელემენტს წარმოადგენს, მაგრამ ეკონომიკური თვალთახედვით ის, რა თქმა უნდა, თავის მნიშვნელობას კარგავს. ამას განსაკუთრებით კარგად ორი მაჩვენებელი მოწმობს. პირველ რიგში, ტრანსნაციონალური კორპორაციების მისწრაფება დომინირებისკენ საკუთრების საკითხში გაურკვეველობას ბადებს. შეიძლება დაისვას კითხვა, მაგალითად, General Electric ან Hitachi ამა, თუ იმ სახელმწიფოს რამდენად ეკუთვნის? მსგავსი ტიპის კორპორაციები ჩვეულებრივ მიიწერენ ამა, თუ უმ ქვეყნის იარლიყს, მაგრამ ვინაიდან მათი წარმოების და ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ თავსდება, ძალიან რთულია ერთმნიშვნელოვნად განვსაზღვროთ, წარმოადგენს, თუ არა სხვა ტრანსნაციონალური



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

კომპანიები იაპონურს, თუ ბრიტანულს. უკვე 1970-იან წლებში დიდ ბრიტანეთში საწარმოო სიმძლავრეთა 50%-ზე მეტი მაღალი ტექნოლოგიების სფეროში (კომპიუტერები, ელექტროტექნიკა და ა.შ) და სამომხმარებლო პროდუქციის ძლიერად რეკლამირებადი წარმოებაში (საპარსები, ყავა, სურსათი და ა. შ) საზღვარგარეთის შვილობილ კომპანიებს ეკუთვნოდა (Pollard, 1983). ვის ეკუთვნის დიდ ბრიტანეთში განთავსებული საწარმოები - Nissan (სანდერლენდი), IBM (პორტსმუტი) და Gillette (ლონდონი) - დიდ ბრიტანეთს, იაპონიას თუ აშშ-ს? 1983 წელს განხორციელებულმა Labour Research-ის გამოძიებამ აჩვენა, რომ 50 წამყვანი კომპანიის საქმიანობის 44% მოდის საწარმოებზე, რომლებიც საზღვარგარეთ არიან განთავსებულნი, რაც არ შეესაბამება იმ სახელისუფლებო სტრატეგიას, რომელიც ადგილობრივი წარმოების განვითარებას უწყობს ხელს. ნათელი ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად რთულია მისცე ნაციონალური ხასიათი გლობალურ კორპორაციებს, გახდა General Electric-ის რეაქცია ბრიტანული ხელისუფლების მცდელობაზე შეექმნა ერთიანი ვიგლს კომპანია. General Electric-ის წარმომადგენლები ამ მცდელობას შედეგი მიზეზით განუდგნენ: „ჩვენ ვართ ტრანსნაციონალური ფირმა, აშშ-ში ყველაზე მსხვილ კორპორაციებს შორის მეექვსე. ჩვენ არ გვინდა, რომ ინგლისურ ფირმად გვთვლიდნენ, ამიტომაც ეიგოსოს თემაზე საუბარს არ ვაპირებთ“ (Guardian, 1998, June, 1).

ამ საკითხზე შემამფოთებელი კითხვა ჩნდება: ვის წინაშე არიან პასუხისმგებელნი ტრანსნაციონალური კორპორაციები? თუ მათი ინვესტიციების ძირითადი ნაწილი განთავსებულია იმ ქვეყნის იურისდიქციის ჩარჩოებს მიღმა, რომელსაც შეიძლება წარმოშობის ქვეყანა ვუწოდოთ, მაშინ ვის წინაშე არიან პასუხისმგებელნი? ჩნდება ძნელად გადასაჭრელი საკითხი საკუთრების შესახებ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ სრულიად დარწმუნებულნი, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მფლობელები არა ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან. მტკიცება, რომ კერძო კომპანიებს პასუხისმგებლობა საკუთარი აქციონერების წინაშე აქვთ, ნიშნავს, რომ ეს საერთაშორისო საკუთრება ნაციონალური ინტერესების და სტრატეგიების კონცეფციას, რომლებიც ცალკეული სახელმწიფოების მიერაა შემუშავებული, ძირს უთხრის.

ნაციონალური სახელმწიფოსა და შესაბამისად, ფორდისტული რეჟიმის დასუსტება - განლევის მეორე მიმართულება - ეს მათ ფუნქციონირებაზე გლობალური ეკონომიკური გარემოცვის მხრიდან ზეწოლაა (Sklair, 1990). თუ ნაციონალური სახელმწიფო უკვე ბიზნესის სფეროში გადაწყვეტილების მიღებაში უწინდელ როლს არ თამაშობს, რამდენადაც ინვესტორები და ტრანსნაციონალური კორპორაციები მთელს მსოფლიოში უფრო მეტ შემოსავლებს ეძებენ, მაშინ ცალკეულ ქვეყნებს, რომლებიც ძლიერ ზეწოლას განიცდიან, სურთ თუ არ სურთ ურთიერთობის გლობალურ სისტემაში მონაწილეობა მოუწევთ. სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ფინანსური ნაკადის ზრდასთან ერთად და ნაციონალურ სახელმწიფოს საკუთარი ვალუტის მიმართ მოწყვლადობასთან კავშირში, სახელმწიფოებს მოუწევთ რაიმე მოიმოქმედონ. ეკონომიკების ინტეგრაციას და ურთიერთშეღწევადობას მივყავართ იმასთან, რომ მთავრობებმა საერთაშორისო სისტემებთან ადაპტირება უნდა მოახდინონ, ანუ უნდა შეეგუონ იმას, რომ ცალკეულ ქვეყნებს „ახალ კაპიტალისტურ რეალობაში საკუთარი მთლიანობის შენარჩუნება სულ უფრო მეტად გაუჭირდებათ“ (Scott and Sorper, 1986, გვ. 7).

დღეს, ქვეყნების უმრავლესობა მეტნაკლებად აქტიურად ისწრაფვის ინვესტიციები ტრანსნაციონალური კორპორაციებისგან მიიღოს, მაგრამ აუცილებელ წინაპირობას კორპორატიული ინტერესებისადმი დაქვემდებარება წარმოადგენს, რომლებიც საბაზრო



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

პრაქტიკასთან არიან დაკავშირებულნი (რამდენადაც ის უმეტესად ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებს გამოხატავს) და ამავე დროს განსაზღვრულ ტერიტორიებთან დაკავშირებული არ უნდა იყოს. მაშასადამე, ყოველი ხელისუფლების თავისუფლება, განსაზღვროს საკუთარი ნაციონალური პოლიტიკა, უცხოური ინვესტიციების საჭიროებითაა შეზღუდული.

მსოფლიო ფინანსური ბაზრის უნიფიკაციის შედეგი ცალკეული ქვეყნების მონეტარული სუვერენიტეტისადმი არსებული საფრთხე გახდა, რომელიც წარმოიშობა ყოველთვის, როცა ვაჭრობის მონაწილეები და ინვესტორები ვალუტის მცირედ რხევებს და სისუსტეს გრძნობენ; ეს 1990-იან წლებში დიდმა ბრიტანეთმა, ირლანდიამ, ესპანეთმა და სხვა ქვეყნებმა საკუთარ თავზე განიცადეს. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარამეტრები და სახელმწიფოს ავტონომია უკვე არ არსებობს.

1960 წლის შუა ხანებში პრემიერ-მინისტრი ლეიბორისტებისგან საიდუმლო „ჯუჯა ციურიხების“ შესახებ საჩივრებს იღებდა, რომლებმაც, ვალუტით ვაჭრობით, აიძულეს მისი მთავრობა ფუნტის დევალირება და სოციალური დანახარჯების შემცირება მოეხდინა. ამ შემთხვევას ხშირად იხსენიებენ მაშინ, როცა იმის მაგალითი უნდა მოიყვანონ, რომ ფინანსისტებს ძალუბთ მთავრობას საშინაო პოლიტიკაში საკუთარი მოთხოვნები და პირობები წაუყენონ. ყველაფერი ასეცაა, მაგრამ რამდენად სერიოზულია ეს ზეწოლა დღეს, როცა ფინანსური ცენტრები ელექტრონული კავშირით ბევრად უფრო ინტეგრირებულნი და უფრო უზრუნველყოფილნი გახდნენ!

პოსტფორდიზმი

პოსტფორდისტული ტენდენციები - **გლობალური კორპორაციული სტრატეგიების დამუშავების აუცილებლობა, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის არსებული უპრეცედენტო კონკურენცია, სახელმწიფო სუვერენიტეტის ეროზია, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ოპერაციების გლობალიზაციით - რეცესიებთან ერთად, რომლებმაც იმოქმედეს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში 1970-იან წლებში, აკუმულაციის ახალი რეჟიმის წარმოშობას სტიმულს აძლევდნენ.** ვარაუდობენ, რომ 25 წლიანი სტაბილურობის შემდეგ ფორდიზმის დრო ამოიწურა. ახალმა პირობებმა მოითხოვეს რადიკალური ცვლილებები, მათ შორის კორპორატიული ორგანიზაციების ძირეული რეკონსტრუქცია, რასაც შემდგომი ექსპანსია და ის ახალი გარემოებები მოითხოვდა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.

ამ ცვლილებების მნიშვნელოვანი შემადგენელი მუშათა ორგანიზაციებზე, თავიდან პროფკავშირებზე, შედეგ კი, მთლიანად კოლექტიურ იდეებზე თავდასხმა გახდა. ერთის მხრივ ეს იყო აუცილებელი პირობა, იმიტომ, რომ ტრადიციული ლეიბორისტული პრაქტიკა სიღრმისეული ცვლილებებისთვის წინააღმდეგობად გარდაიქმნა, ხოლო მეორეს მხრივ კი - ეს ფორდისტული ეპოქისთვის სტანდარტული სიმპტომი გახდა. გლობალიზაცია და არსებული ეკონომიკური გაურკვევლობა, როგორც ჩვენ კიდევ არაერთხელ ვნახავთ, რეაქციების სისწრაფეს და მრავალფეროვნებას მოითხოვდნენ, ანუ იმას, რისი უზრუნველყოფა ფორდიზმმა ვერ შეძლო.

წარმოებით ურთიერთობებში ასეთი პოლიტიკა იმ სიღრმისეული ცვლილებების პირობა გახდა, რომელსაც პროფკავშირული მოძრაობები ახერხებდა. აშშ-ში ეს შედარებით მსუბუქად მოხდა,



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ხოლო გადამწყვეტი მარცხის შემდეგ, რომელიც 1980-იან წლებში რეიგანმა საპაერო მიმოსვლის რეგულატორებს მიაყენა, ცვლილებებს უკვე აღარ ეწინააღმდეგებოდნენ. ლეიბორისტული მოძრაობა დიდ ბრიტანეთში მნიშვნელოვნად ძლიერი იყო, მაგრამ მანაც სხვადასხვა საშუალებებით, ასევე საკანონმდებლო აქტებით, პიკეტების შესუსტებული გავლენით მარცხი განიცადა. თავისი როლი ითამაშეს პროფკავშირებმა და ასევე მისწრაფებამ აღეკვეთათ უპრეცედენტოდ მაღალი უმუშევრობა (რომელიც 1979 -1981 წწ ში 200%-ით გაიზარდა), შესუსტებულმა მრეწველობამ, სადაც კონცენტრირებული იყვნენ მაღალორგანიზებული სამუშაო ჯგუფები, გადამწყვეტი კი ის სამთავრობო პოლიტიკა აღმოჩნდა, რომელმაც ყველა თავდასხმა უკუაგდო, განსაკუთრებით მაღაროელების მხრიდან, რომლებიც გაფიცვებს 1984-1985წწ-ში სისტემატურად ატარებდნენ. შედეგად კი წარმოებაში და საერთოდ დასაქმების სფეროში რადიკალური ცვლილებების შესახებ წინადადება იქნა მიღებული.

ზემოთთქმულთან მჭიდრო კავშირშია სამუშაო ძალისგან განთავისუფლების შესახებ გაჩენილი ტენდენცია, რაც ბაზარზე არსებული კორპორაციების გარდუვალი რეაქციის გამოხატულება იყო, მაგრამ ეს ტენდენცია გრძელვადიანი ორი მიმართულებით აღმოჩნდა:

1. ის, რაც **ევგემისტურად** შემცირებად იწოდებოდა, 1990-იან წლებამდე და შემდეგ გრძელდებოდა, ეს მაშინ, როცა მრავალი წარმატებული კორპორაცია „სამუშაო ძალის შემცირების“ წინაშე აღმოჩნდა. შრომის ინტენსიფიკაციის და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად მიღებული მრეწველობის ზრდა პოსტფორდისტული რეჟიმის მახასიათებელი გახდა. თუმცა, მას მასობრივი ხასიათი არ ჰქონდა, მსგავსი მაგალითები არც ისე ცოტაა: 1983 წლიდან **IBM**, რომელმაც შეამცირა მისი თანამშრომლების მეოთხედი, ამასთან შემოსავლები გააორმაგა, **British Telecom**-მა ორჯერ შეამცირა პერსონალი, შემოსავლებმაც უცებ დაიწყეს ზრდა.

2. პოსტფორდისტული ორგანიზაციებისთვის, როგორც ხშირად მიიჩნევენ, ვერტიკალური დეზინტეგრაციის ტენდენციაა დამახასიათებელი. ეს ნიშნავს, იმის ნაცვლად, რომ რაც შეიძლება მეტის წარმოება ერთ სტრუქტურაში მოხდეს (რომელიც არ შეიძლება ვერტიკალურად ინტეგრირებული არ იყოს), ფირმა ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი კონტრაქტი გარე ორგანიზაციებთან გააფორმოს. აუთსორსინგის ასეთი სტრატეგია კარგად შეესაბამება პერსონალის შემცირებას, იმდენად რამდენადაც ის ცენტრალურ ორგანიზაციაში შედარებით ნაკლებ თანამშრომელს მოითხოვს და სამუშაო ძალისაგან, როცა ის ხდება ჭარბი (შტატების შემცირების ნაცვლად, უბრალოდ არ ხდება კონტრაქტების განახლება) გათავისუფლების პროცესს აადვილებს. ძალიან ხშირად მოჰყავთ Benetton-ის მაგალითები, ტანსაცმლის იტალიური მწარმოებელი (Murray, 1985), რომელიც მოიხმარს 12 ათასი მუშაკის შრომას, მაგრამ მას შტატში მხოლოდ 1500 ადამიანი ჰყავს. მისი სტრატეგიაა ფრანშიზმი (3000-ზე მეტი 50 ქვეყანაში) -ანუ აუთსორსინგის სხვა სახე. ის კომპანიას შესაძლებლობას აძლევს იმ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლდეს, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა მუდმივ შტატში უზარმაზარი პერსონალია.

ცხადია, რომ ვერტიკალური დეზინტეგრაცია მხოლოდ იმ საკმაოდ რთული ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციის და კომუნიკაციური საშუალებების შესაბამისობისასა შესაძლებელი, რომელთა დახმარებითაც საქმიანობის კონტროლის და კოორდინაციის უზრუნველყოფა ხდება, სხვაგვარად Benetton-ის დაახლოებით 140 აგენტს, რომელთაგან ყველა თავის რეგიონში მუშაობს, როგორ შეუძლიათ თავიანთ სამუშაოს კოორდინირება გაუკეთონ?



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ასეთი ინფრასტრუქტურა უპირობოდ ტექნოლოგიურია იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციული მომსახურებისთვის პერსონალის მოთხოვნილება, როგორც პოსტფორდიზმის ძირითადი ელემენტი რამდენიმე მიზეზის გამო განიხილება, რომელთაგან ყოველი ხაზს ახალ რეჟიმში ინფორმაციის როლს უსვამს ხაზს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამის შესახებ, როცა გლობალიზაცია განვიხილეთ, როგორც პოსტფორდიზმის მაუწყებელი, მაგრამ ინფორმაციული ინფრასტრუქტურის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი აუცილებელია დაწვრილებით განვიხილოთ.

1. ასეთი ინფრასტრუქტურების არსებობა გლობალიზებული საწარმოების და მარკეტინგული სტრატეგიების მართვისთვის აუცილებელი პირობაა. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ჩვენ საერთაშორისო შრომის დაყოფის მონაწილენი გავხდით (Frobel et al, 1980), რომელიც ვლინდება ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნებში ათობით განყოფილების კოორდინირებით შეუძლიათ წარმოებას, დისტრიბუციას და გაყიდვებს მთელს მსოფლიოში უხელმძღვანელონ. როგორც აუთსორსინგი დამოკიდებულია კომპიუტერიზირებულ კომუნიკაციაზე, რომელიც კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს ცენტრალურ ოფისში დიდი რაოდენობის თანამშრომელის დაქირავების გარეშე, მუდმივი დაკვირვება აწარმოონ შემკვეთებსა და დისტრიბუტორებზე, ასევე გლობალური კორპორაციულ სტრატეგიას მხოლოდ რთული ინფორმაციული ქსელების ბაზაზე შეუძლია იარსებოს.

2. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა გლობალური ფინანსური საქმიანობის საწარმოებლად და მასთან დაკავშირებული ინფორმაციული მომსახურების წარმოსაჩენად აუცილებელია, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ძირითადი შემადგენლებია. ინფორმაციული ქსელის განშტოებების გარეშე აქციებით, ვალუტებით დიდი მოცულობის ვაჭრობა, კავშირები ბანკებს, ბანკებსა და კლიენტებს შორის შეუძლებელი იქნებოდა და შესაბამისად აკუმულაციის პოსტფორდიზტული რეჟიმში შეუძლებელი იქნებოდა.

3. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა პროდუქციისა და საწარმოო პროცესების განხორციელებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს, ის შედარებით ზუსტი მონიტორინგის მეშვეობით არა მხოლოდ ფართომასშტაბიან წარმოებას და მის ეფექტურობას, არამედ ასევე ახალი ტექნოლოგიების შედარებით მსუბუქ შემოსვლას უზრუნველყოფს, რომლებსაც დანახარჯების შემცირება და ხარისხის ზრდა შეუძლიათ (ამასთან მნიშვნელოვანია მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ეს განსაკუთრებით ნათლად კომპიუტერულ კონტროლსა და საოფისე საქმიანობაში არსებულ კომპიუტერიზაციაში ვლინდება).

4. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა - კიდევ უფრო გამწვავებული კონკურენციის პირობაა. კონკურენციის ფონზე წინა პლანზე გამოდის ის მდგომარეობა, რომ კომპანიები ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საწყის ეტაპზე იმყოფებიან, ანუ მრეწველობის ყოფილი მინისტრის, პატრიკ ჯენკინის გამოთქმით, არჩევანი მხოლოდ ერთია - „ავტომატიზაცია, ან ლიკვიდაცია“. მაგრამ კონკურენციის პირობებში საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერება საწარმოო დაწესებულებებში მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვას არ გულისხმობს. აუცილებელია ქსელების არსებობა, დაკომპანიის შიგნით და გარეთ მათი ოპტიმალური გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ ეფექტურობა შეიძლება გაიზარდოს შვილობილი კომპანიების სისუსტეების აღმოფხვრით და მათი ძლიერი მხარეების მხარდაჭერით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბაზრის მიერ წარმოდგენილი ყველა შესაძლებლობა დროულად იქნეს გაგებული. სულ უფრო აშკარა ხდება, რომ წარმატებული კორპორაცია - ესაა კორპორაცია, რომელსაც არა მხოლოდ წარმოების ავტომატიზაციის მაღალი დონე აქვს და



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

კლიენტს საუკეთესო და მისაწვდომ პროდუქტს სთავაზობს, არამედ ის, რომ იგი პირველი კლასის ქსელებს ფლობს, რომელებიც შიდა ოპერაციების, რეალური და პოტენციური მომხმარებლების შესახებ სხვადასხვა მონაცემთა ბაზებთან კავშირს უზრუნველყოფენ, ერთი სიტყვით ყველაფრის შესახებ, რამაც შეიძლება მეტად, თუ ნაკლებად საქმის მიმდინარეობაზე გავლენა მოახდინოს, ასევე შეუძლია შემოსულ ინფორმაციაზე სწრაფი რეაგირება მოახდინოს.

დევიდ ჰარვეი (Harvey, 1986b) თვლის, რომ ყველა ეს პროცესი, როგორც „სივრცე-დროში გამყარების“ რეზულტატი (გვ 284), საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ 1970 წლიდან დაწყებული ისინი ინტესიურ ფაზაში შევიდნენ, როცა სივრცითი შეზღუდვები სწრაფად შემცირდნენ (ინფორმაციული ქსელების წყალობით კორპორაციებს შეუძლიათ დაიცვან საკუთარი ინტერესები, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა) და დროითი შეზღუდვები მოხსნილი იქნა (გლობალური ქსელების საუკუნეში ვაჭრობა რეალურ დროში სულ უფრო მეტად ხდება ნორმა). ოდესღაც გეოგრაფიული წერტილები ერთმანეთისგან შორს იმყოფებოდნენ და ერთიდან მეორეში გადასვლაზე ძალიან დიდ დრო იკარგებოდა. საკმარისია გავიხსენოთ, საუკუნის უკან რამდენ დროს იკავებდა გზა აშშ-დან, ან თუნდაც ლონდონიდან-პარიზამდე. ახლა კი აშშ-თან და პარიზთანაც დაკავშირება მყისიერად შეიძლება. სავსებით ნათელია, რომ სივრცულ-დროითი გამყარების მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა სწრაფი ტრანსპორტის გავრცელება, პირველ რიგში ავიაციის, რომელმაც რამდენიმე ათწლეულში კონტინენტებს შორის მანძილი მკვეთრად შეამცირა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი რთული და მოქნილი ინფორმაციული ქსელების შექმნა იყო, რომლებმაც გეოგრაფიულად გაფანტული ბიზნესის მცირე დროითი შეზღუდვებით მუდმივი და ხარისხიანი მართვა უზრუნველყვეს. თუ დავფიქრდებით, ვთქვათ, ტიპიურ სუპერმარკეტებში მალფუჭებადი ხილის, ან ბოსტნეულის ასორტიმენტზე და იმაზე, რომ აუცილებელია მუდმივ ვარგისიანობისთვის მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებიდან მათი მუდმივად მიღება, მაშინ ნათელი ხდება, თუ 21-ე საუკუნის დასაწყისში რეალური ცხოვრებისთვის „სივრცულ-დროითი გამყარება“ რას უნდა ნიშნავდეს. ასევე ეს მანქანათმშენებლობას, მიკროჩიპებს, მაცივრებს, ტანსაცმელს და წიგნებსაც ეხება.

ყველაფერი ეს პოსტფორდიზმისთვის დამახასიათებელ ნიშანზე და თავისებურებაზე მეტყველებს. ესაა-მოქნილობა. როგორც არ უნდა იყოფოდეს მკვლევართა აზრები, არსებობს საერთო თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოქნილობა (დეფინიციის დონეზე) სწრაფად ხდება ნორმა და როგორც წესი, ეს ფორდისტული რეჟიმის პირობებთან კონტრასტში მტკიცდება, რომლებიც უზარმაზარი მასშტაბებით, სტრუქტურირებულობით და სტანდარტიზებულობით ხასიათდებოდნენ. მოდით ახლა მოქნილობის რამდენიმე ასპექტი განვიხილოთ, ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ფორდიზმის პერიოდისთვის თითქმის საპირისპირო თვისებები იყო დამახასიათებელი.

მეცნიერთა უმრავლესობისთვის, რომლებმაც რეგულირების სკოლის გავლენა განიცადეს, „მოქნილი აკუმულაციის“ რეჟიმი (Harvey, 1989b, გვ. 147) წინა რეჟიმისგან სამი მიმართულებით განსხვავდება:

1. **დაქირავებული მუშაკების მოქნილობა.** პოსტფორდისტული მუშაკები მკაცრ პროფესიულ დაყოფასთან დაკავშირებული არ არიან და არ თვლიან, რომ ოდესღაც მიღებული პროფესიითა და დაუფლებული საქმით იქნებიან მთელი ცხოვრება დაკავებულნი.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

„დემარკაციული დავების“ ეპოქისაგან განსხვავებით, როცა „თუ მექანიკოსი გახდი, მთელი ცხოვრება მექანიკოსი დარჩები“, ახლა მთავარ თვისებად ადაპტირება ითვლება, ხოლო შრომითი უნარების და ცოდნის მრავალფეროვნება კი - ნორმად. აქ იგულისხმება „სწავლება მთელი სიცოცხლის მანძილზე“, იმის გაცნობიერება და გაგება, რომ „ახალ დროში“ ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობს და რომ დაქირავებული მუშაკი პირველ რიგში „მობილური“ უნდა იყოს (McGregor and Sproull, 1992). ორიენტაცია პროფესიაზე და სწავლებაზე - ამ მოქნილობის ერთი მხარეა, სხვები ხელფასის მოქნილ გადახდაში (შრომის ინდივიდუალურ გადახდაში და არა პროფესიონალიზმთან, ან სახელმწიფო ტარიფებთან შეთანხმებით), შრომით მოქნილობაში (რამდენიმე წელიწადში ერთხელ სამუშაოს შეცვლისათვის მზაობა, რასაც ხელს უწყობს სულ უფრო გავრცელებული პრაქტიკა - განსაზღვრულ დროზე კონტრაქტის დადება) და დროითი მოქნილობაში (სწრაფად იზრდება სამუშაო ადგილები არასრული სამუშაო განაკვეთით, ფართოდ გავრცელებულია „მოქნილი გრაფიკი“, ხშირად არის დასვენების დღეებში მუშაობის აუცილებლობა) ვლინდება.

2. წარმოების მოქნილობა. აქ ივარაუდება ის, რომ ფორდისტული მეთოდები (ინფორმაციული ქსელების წყალობით), როგორც წარმოების უფრო მოქნილი და ეფექტური საშუალება ვრცელდებიან, მაგალითად, როგორცაა მაგალითად სისტემა „ზუსტად დროში“, როცა საწარმო მუშაობას მხოლოდ შეკვეთის მიღებისას იწყებს, რაც შენახულ და რა თქმა უნდა, ჯერ არ გაყიდულ პროდუქტებზე ეკონომიის საშუალებას იძლევა. იმისთვის, რომ ასეთმა სისტემამ იფუნქციონიროს, ის საკმარისად მოქნილი და ოპერატიული უნდა იყოს - შემკვეთები დიდხანს ლოდინს არ ისურვებენ. საბაზრო კონკურენცია ეთანხმება ამ მოქნილობას და კორპორაციებს ინფორმაციულ სისტემებში ინვესტიციების ჩადებას აიძულებს, რომლებსაც მათი უზრუნველყოფა შეუძლიათ. წარმოების მოქნილობის სხვა ფორმა - ვერტიკალური დეზინტეგრაციაა, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ცხადია, რომ სუბკონტრაქტების გაზრდილი რიცხვი კორპორაციებს შესაძლებლობას აძლევს მომწოდებლები და პროდუქცია შეცვალოს ისე, რომ საკუთარი პერსონალისგან განთავისუფლების არასასიამოვნო აუცილებლობა არ განიცადოს.

3. მოხმარების მოქნილობა. ითვლება, რომ ელექტრონული ტექნოლოგიები ქარხნებს შესაძლებლობას აძლევენ უფრო მრავალფერვანი პროდუქცია გამოუშვან, ვიდრე ეს სტანდარტიზირებული ფორდისტული წარმოებისას იყო. კომპიუტერიზაცია წარმოებით ხაზს უპრეცედენტო მოქნილობას ანიჭებს და მოკლევადიანი შეკვეთები უფრო მომგებიანია. მყიდველები სტანდარტიზირებულ ფორდისტულ საქონელს გვერდს უვლიან, ისინი განსაკუთრებულ რაიმეს ეძებენ, რაც მათი ცხოვრების და მისწრაფებების განსაკუთრებულ სახეს გამოავლენდა და წარმოაჩენდა. ამასთან ასეთი არგუმენტიც არსებობს: პოსტფორდისტულ ეპოქაში, ინფორმაციული და კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის წყალობით მომხმარებლის სურვილები იმდენად შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას, რამდენადაც საქონლის დაკონფიგურირებას, ანუ მათი მომხმარებლის მოთხოვნილებებთან შესაბამისობას, თუ მასშტაბური ხასიათი ექნება.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მოქნილობის ყველა ეს კომპონენტი სხვადასხვა ხარისხით პრაქტიკაში აისახება. ამგვარად, არქექტიპული პოსტფორდისტული კომპანია იღებს შეკვეთას, მისი მახასიათებლები გადაიცემა საწარმოებზე, სადაც წარმოება დაპროგრამებულია ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური სპეციფიკა და პერსონალი, რომელიც განსხვავებულ პროფესიულ ცოდნას, სწრაფი ადაპტირების უნარს ფლობს სწრაფად დაამუშაოს



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ის, რაც მას მოეთხოვება. მიაქციეთ ყურადღება, მთლიანი პროცესი და მისი ყოველი სტადია ინფორმაციის დამუშავებაზე, მის მიღება-გავრცელებაზე დაფუძნებული. შეკვეთიდან მოთხოვნების წაყენებადმე **sine qua non**-ს (აუცილებელ და საკმარის პირობას) სწრაფი, რთულ და მოძრავი ინფორმაციული ქსელი წარმოადგენს.

ამ ტენდენციებიდან პოსტფორდისტულ ერაში ჩვენ მასობრივი წარმოების დაცემას განვიხილავთ. უზარმაზარი და ცენტრალიზებული საწარმოს ადგილზე მცირე საწარმოები, ჩნდებიან და მთელს მსოფლიოში ვრცელდებიან. ყოველ მათგანში კი, მაქსიმუმ რამდენიმე ასეული ადამიანი მუშაობს, მაგრამ მთლიანობაში, ორგანიზებულ კორპორაციას შეუძლია უფრო მეტი შვილობილი კომპანიები იყოლოს, ვიდრე ადრე. მეტროპოლიის მსხვილ ცენტრებში ტრანსნაციონალური კორპორაციების შესაძლებლობამ საერთაშორისო მასშტაბით მოახდინონ საკუთარი წარმოების რეორგანიზება ეს ტენდენცია ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა და წარმოებაც ქვეყნის და ქალაქებს გარეთ გადავიდა, მაშინ, როცა მეტროპოლიებში მომსახურების სფეროში საბანკო საქმე, დაზღვევა და ბიზნესი დაუჯერებელი მასშტაბებით იზრდება (დიდ ბრიტანეთში - ორჯერ მეტად, ვიდრე 1970-იან წლებში იზრდებოდა)

ზემოთთქმული პროფესიის და დასაქმების მიხედვით ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინგლისი, სამუშაო ძალის გადანაწილებაში სიღმისეულ ცვლილებებს ნიშნავს. მრეწველობაში მომუშავე-მამაკაცი სულ უფრო იშვიათი ფიგურა ხდება, საფაბრიკო პროდუქცია ანაქრონიზმად იქცევა, ამიერიდან წინა პლანზე მომუშავე-ქალები გადმოდიან, რომლებთაც კონტრაქტის მიხედვით ქირაობენ. მაგალითად, 1970 წლიდან დაწყებული ქარხნული სამუშაო დაჟინებით და შეუქცევადად მცირდება, ხოლო „მობილურ სამუშაო ძალას“ (Hakim, 1987) ძირითადად ქალები შეადგენენ. 1990 წლისთვის წარმოებაში მეოთხედზე მეტი სამუშაო ადგილი რჩებოდა, მაშინ, როცა მომსახურების სფეროზე 70% მოდიოდა, მითუმეტეს სამუშაოს დიდ ნაწილს ქალები ასრულებდნენ. ამასთან კავშირში დაიწყო პროფკავშირების ეროზია, რომელიც მუშათა ახალი ტიპის ორგანიზებას წარუმატებლად ცდილობდა. გარდა ამისა ბევრ კომპანიაში მუდმივი თანამშრომლების ძირითად ჯგუფამდე შემცირება ჩვეულებრივ რამედ იქცა და პერიფერიული შრომის მოხმარების ხარჯზე მოქნილობის მიღწევა (მუშები არასრულ სამუშაო დღეზე, რომელთა მდგომარეობა კომპანიაში გაურკვეველია). ამას დროებითი სამუშაო ძალა ეწოდება (ის მუშები, რომლებთაც ხელსაყრელი კონიუნქტურის პირობებში იღებენ და არახელსაყრელ დროს კი ათავისუფლებენ), სხვადასხვა შეფასებით ის აშშ-ში შრომითი ბაზრის 5%-ს შეადგენს. მთავარი ფიგურა მოქნილი, ინფორმაციულად ორიენტირებული მუშაკი ხდება, რომელიც რესტრუქტურირებისა და გლობალიზაციის შედეგად რაოდენობრივად გაზრდილ მენეჯმენტის ჯგუფებში მაღალ დონეზე შევიდა, თუმცა მათი როლი არც დაბალ დონეზე, ანუ საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საქმის წარმოება, გაყიდვები და სამდივნო საქმიანობა, ნაკლები არაფრით არაა.

პოსტფორდიზმის წარმოშობა გეოგრაფიულ რეგიონებსაც ტრანსფორმირებას უკეთებს, რომლებიც ადრე ამა, თუ იმ საწარმოსთან მჭიდრო კავშირში იყვნენ. სამრეწველო წარმოების დაცემა და მომსახურების სფეროში დასაქმების ზრდა - ეს გენდერული ცვლილებების და უმეტესი აქტივობის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადატანის შესახებ საკითხებია. უკანსაკნელი ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო აშშ-შია, თუმცა არც დიდ ბრიტანეთშია შეუმჩნეველი, ჩრდილოეთი შესაბამის დაცემას განიცდის, მაშინ, როცა სამხრეთში ფირმების და სამუშაო ადგილების რაოდენობა იზრდება.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ამასთან პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურაც იცვლება. საწარმოს მუშებს მათი სოლიდარული უნიონიზმით და კოლექტიური სტრუქტურებით პოსტფორდისტულ მოქალაქესთან ნაკლები შეხება აქვთ. პირიქით, ახლა ჩვენ „საბაზრო სასწაულთან“ მიმართებაში ენთუზიაზმის აღორძინებას ვხედავთ, რომელიც ომისშემდგომი დაგეგმარების შედეგად თითქმის ჩაქრა. ისტორიკოს **კენეტ მორგანმა** (Morgan, 1990) განაცხადა კიდევ, რომ „ბრიტანული საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი მსხვერპლი დაგეგმარების სული გახდა“ (გვ. 509), ანუ იდეოლოგია, რომელიც „ახალი დროისთვის“ დამახასიათებელ ცვლილებების სისწრაფესთან და laissez-faire (ჩაურევლობასთან) მიჯაჭვული არაა.

ახლა რეალურად ისე ჩანს, რომ თავისი პოზიციები კლასობრივმა ენამაც დაკარგა. დიდი ხნის განმავლობაში კლასი სოციოლოგებისთვის ღერძული კონცეფცია იყო („მითხარი რომელ კლასს ეკუთვნი და მე თითქმის ყველაფერს გეტყვი შენ შენს პოლიტიკურ შეხედულებებზე, სამსახურზე, ცვლილებებზე განათლებაში და სექსუალურ ჩვევებზეც კი“), მაგრამ დღეს კლასობრივი განსხვავებების, კონფლიქტის და უთანასწორობისადმი ინტერესის შესუსტება შეინიშნება. ყველაფერი ეს წარმოდგენილია, როგორც რაღაც ძველმოდური, რომელიც 1960-იან წლებს, ალან სილიტოუს და ბუნდოვან სამრეწველო ჩრდილოეთს გვახსენებს. რა თქმა უნდა, ინტელექტუალთა წრეში ყველაზე ღარიბი ფენისადმი, იზოლირებული რაიონებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ რეალობაში საუბარი ძალიან პატარა ჯგუფს ეხება, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას მოწყვეტილია, განცალკავებული და თვითმმართველია, ის მიუხედავად იმისა, რომ აღიზიანებს კანონდამცველ მოქალაქეებს, ცხოვრობს მისთვის და დანარჩენ მოსახლეობასთან საერთო არაფერი აქვს, ის მხოლოდ საკუთარი თავით და კარიერიტაა შემფოთებული.

ახლა საყოველთაო განაცხადის სახე მიიღო მტკიცებამ, რომ მოსახლეობისთვის ცხოვრების სხვადასხვა სტილი და წესია დამახასიათებელი. პოსტფორდისტული რეჟიმის პირობებში კლასობრივმა კატეგორიებმა და მათთან კავშირში მყოფმა საერთო კულტურამ („მუშა - მამაკაცი - მუშაობა, გაერთიანება, მეგობრები, გოგოები, ფეხბურთი, ლუდი) ცხოვრების სხვადასხვა სტილს, არჩევანს, უპირატესობებს და როგორც ითქვა, პროდუქტის კასტომიზაციას დაუთმეს ადგილი. სოციალური ჯგუფის შიდა და გარე მრავალფეროვნებამ ერთგვაროვნება და მსგავსება გამოაძევა.

ზოგიერთი მკვლევარი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ზემოთთქმულს ერთიანობის ფრაგმენტაციასთან, სტაბილურობის და დაკმაყოფილების დაკარგვასთან მივყავართ, სხვებისთვის ეს არის დემოკრატიული ძალის გამოვლინება, რომელიც ახალ გამოცდილებასა და შესაძლებლობებში ვლინდება, „მე“-ს დეცენტრალიზებას სტიმულს აძლევს და ემოციურ ზრდას იწვევს. მაგრამ როგორი სხვადასხვაობაც არ უნდა იყოს მოსაზრებებში, ერთს ყველა ეთანხმება: ახალი ინდივიდუალიზმი არსებობს, როგორც ცხოვრების სხვადასხვა სტილის, წესის ქონის უფლება და როგორც თანხმობა ფაქტთან, რომ კლასი - თვით ტერმინი - სოციოლოგებისთვისაც კი კონსტრუქტს წარმოადგენს, რომელსაც უბრალოდ დაკვირვების სუბიექტს უწოდებდენ და რომელმაც როგორც ფაქტორმა თავისი პოზიცია დაკარგა, რომელიც ქცევის სხვა ნორმებს განსაზღვრავდა და პოლიტიკურ და ინდუსტრიულ ფონზე ადამიანთა მობილიზების როგორც საფუძველი აღარ მნიშვნელობს.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ჩვენ თავიდან შეგვიძლია შევავსოთ თუ პოსტფორდისტულ რეჟიმში ინფორმაცია და მისი ბრუნვა, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რამდენადაც ფორდიზმი წარმოებიდან მომხმარებელზე ორიენტირებულ სისტემად ტრანსფორმირდა(შეიცვალა), ჩვენ არა მხოლოდ საწარმოს მუშების შემცირებას, არამედ უფრო ინდივიდუალურ, მომხმარებელზე ორიენტირებული სისტემის წარმოშობას ვხედავთ. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ასეთ ინდივიდუალურ ინფორმაციას არ შეუძლია გადამწყვეტი როლი არ ითამაშოს, რადგანაც პირველ რიგში, მომხმარებლებმა უნდ იცოდნენ, სად და რისი მოხმარება შეუძლიათ მათ, და მეორეც, ჩვენს ინდივიდუალიზირებულ დროში ისინი საკუთარ თავზე განაცხადს მხოლოდ მოხმარების მეშვეობით აკეთებენ. ორივე ფაქტორი ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს, პირველი - რამდენადაც ის რეკლამასთან და პროდუქციის გასაღებასთანაა დაკავშირებული (ინფორმაცია აღწევს მოხმარებას), მეორე - იმიტომ, რომ აქ მოხმარების სიმბოლური გაზომვა მუშაობს: ადამიანები, ამა თუ იმ საგნის მოხმარებისას, საკუთარი თავის შესახებ აცხადებენ, რითაც ინფორმაციის თავიდან წარმოებას უწყობენ ხელს.

რობერტ რაიხის თეორია

რობერტ რაიხის თეორია ორი ძირითადი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი: პირველი იმიტომ, რომ მასში ახალი პოსტფორდისტული კონსესუსი, რომელიც 1990 წელს შედგა მკაფიოდ არის გამოთქმული, და მეორე - იგი დაწერილია იმ მეცნიერის მიერ, რომელიც კლინტონის დროს აშშ-ში შრომის მინისტრი იყო და რომელმაც იმ დროს წარმოქმნილ „ახალ შრომაზე“ და „მესამე გზაზე“ დიდი გავლენა იქონია.

მეორე ათასწლეულის ბოლოს რაიხის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ შეგვიძლია შრომის სფეროში ახალ პოლიტიკას მისი სახელი ვუწოდოთ. **რაიხის თეორიის ერთ-ერთი დებულებით განვითარება და გლობალიზაცია დამოკიდებულია არა მარტო ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე, არამედ უფრო-ინფორმაციის გადაამუშავების, გაანალიზების და გაავრცელების ადამიანურ უნარებსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.** ეს ყველაფერი კი ეკონომიკური მოქმედებების ძირითადი წესების შეცვლამ გამოიწვია; რაიხი მიიჩნევს, რომ ერთ დროს ის რაც კარგი იყო ამერიკული კორპორაციისთვის, ასევე აშშ- სთვისაც კარგი იყო, რადგან წარმოება აშშ-ის ფარგლებში იყო კონცენტრირებული (და ეს ნიშნავს, რომ ამერიკელებს ჰქონდათ სამუშაო); მაგრამ გლობალიზაციამ ეს სასიამოვნო სიტუაცია შეცვალა. ამჟამად უკვე შეუძლებელია ნაციონალურ ეკონომიკებს შორის საზღვრები ზუსტად გამოიყოს. კაპიტალისა და წარმოების განვითარებამ მიაღწია იმ დონეს, რომ ამერიკული ოცნების შესახებ თვით ფიქრიც კი, ისევე როგორც ცნებები „ამერიკული კორპორაცია“, „ამერიკული კაპიტალი“, „ამერიკული პროდუქტი“ და „ამერიკული ტექნოლოგია“ აზრს კარგავს. რაიხის თქმით, ახლა ეკონომიკა ფუნქციონირებს ისე, რომ ნაციონალურ საზღვრებზე დამოკიდებული არ არის, იგი კორპორაციებს შორის არსებულ „გლობალურ აბლაბუდურ“ ურთიერთობებზე დგას.

გლობალიზაციით შეგულიანებული კორპორაციები ბიუროკრატიზაციის დონის შემცირებით ვერტიკალურად დეზინტეგრირდებიან. ეს პროცესი თვალნათლივ გამოჩნდა შემცირებების მრავალი შემთხვევების დროს, როდესაც „გარდაქმნილი“ კორპორაციები მენეჯმენტის საშუალო დონეს თავიდან იცილებდნენ. სოციოლოგიასა და ბიზნესში მტკიცედ დამკვიდრებული დოგმა, რომ ბიუროკრატიული ორგანიზაცია ეფექტური საქმიანობის წანამდღვარია, ეჭვის ქვეშ დადგა. რაიხის თქმით, ეკონომიკის გლობალიზაცია ისე ძალიან სწრაფად ვითარდება, რომ თავს ასეთი



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

დიდი სტრუქტურის, თანაც საკმაოდ კონკურენტუნარიანად, მართვის და მრავალსაფეხურობრივი ბიუროკრატის ქონის ფუფუნების უფლება არ უნდა მივცეთ.

მასობრივი წარმოებიდან ძვირადღირებული საქონლის წარმოებისა და სერვისისაკენ (მომსახურებისაკენ) შემობრუნება მოხდა, ეს კი საქონლის დიფერენციაციის მოხდენის, ინოვაციებზე ფიქრის და მოპოვებული ცოდნის ეკონომიკაში გამოყენების სტიმულს გვამღვეს, რამდენადაც სპეციალური ბაზრების მოძიება, ახალი პროდუქტების დამზადება სისტემატურად მიმდინარეობს, თანდათანმათი სიმბოლური მნიშვნელობაც იზრდება, პროდუქცია ინფორმაციით და ცოდნით სულ უფრო დატვირთული ხდება. მაგალითად: მაისურის დიზაინი უფრო მეტ ღირებულებას შეიძლება წარმოადგენდეს, ვიდრე ის მასალა, რისგანაცაა დამზადებული. გლობალური ბაზრის უპირატესობა იმაშია, რომ მას შეუძლია თავისი ნიშა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე განსაზღვროს, გამოავლინოს შესაძლებლობები, სადაც არ უნდა გაიხსნას ისინი, ბუღალტერიის ჭკვიანური წარმოების და სწორი მენეჯმენტის მეშვეობით შეამციროს გასავალი. რაღაცის წარმოების უნარი არ არის მხოლოდ საკმარისი, მთავარ ფაქტორს წარმოადგენს უნარი – გაზარდო საქონლის ღირებულება და კომპანიის წარმატებაზე იმუშაო. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით პრიორიტეტული პროფესიები იკვეთება, რომლებიც გლობალურ ქსელებში დომინირებენ, დიზაინის სწრაფად შეცვლის შესაძლებლობას იძლევიან, პროდუქტის დამატებით ღირებულებას, ეფექტურ რეკლამას უზრუნველყოფენ. რაიხი მიიჩნევს, რომ ამ პროფესიის მქონე ადამიანები სულ რაღაც 20% შეადგენენ და მათ „სიმბოლურ ანალიტიკოსებს“ უწოდებს; ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც „ინტელექტუალური კაპიტალი“ აქვთ, 21-ე საუკუნეში წარმატებას ეს უკანასკნელი განსაზღვრავს; მთავარია მათ აბსტრაქტულად და სისტემურად აზროვნება, ექსპერიმენტები, თანამშრომლობა, პრობლემის განსაზღვრა და გადაჭრა შეეძლოთ; მათი მოღვაწეობის სფეროებია: საბანკო საქმე, სამართალი, გამოთვლითი ტექნიკა, ბუღალტერია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მენეჯმენტი და აკადემიური მეცნიერება. ის, რაც ყველა ამ პროფესიას აერთიანებს – **ინფორმაციულობაა**. ინფორმაციული მუშაკი ყოველთვის თავის თავზე მუშაობს, ყურადღებიანია, გამოირჩევა სიახლეებით თავის სფეროში, ბაზრის, საზოგადოების ხასიათის ცვლილებებს ყოველთვის აკვირდება. ასეთ მუშაკს არ სურს სოციალური ბიუროკრატის კორპორაციაში მუდმივი თანამდებობა დაიკავოს. მას ურჩევნია გადავიდეს პროექტიდან პროექტზე, გააფართოვოს თავისი ქსელი და ამოცანის ეფექტურად შესასრულებლად თავისი ცოდნა სისტემატიურად განაახლოს. ინფორმაციული მუშაკისთვის ერთი მარკეტინგული პროექტიდან, ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლაა დამახასიათებელი. საკუთარ კარიერას ისინი თვითონ ქმნიან.

პოსტფორდიზმის პრობლემები

ინტელექტუალურ წრეებში ფორდისტულმა (და პოსტფორდისტულმა) თეორიამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ზოგიერთებში ეს ინტერესი თავიდან დაკავშირებული იყო სურვილთან გაეგოთ, თუ ბრიტანელ მემარცხენებს საარჩევნო მხარდაჭერაზე უარი რატომ უთხრეს. ამომრჩევლები ლეიბორისტული პარტიის მოძველებული იმიჯის მიმართ ანტიპათიით იყვნენ განწყობილნი (ასეთ ჩავარდნას თავისი მიზეზიჰქონდა – 1970-იანი წლები, ომის შემდგომი პერიოდი). მოსახლეობამ არაერთხელ დაუჭირა მხარი ლეიბორისტულ პარტიას, თუმცა არაფერი შეცვლილა.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ამ პერიოდში დაიწერა უამრავი წიგნი, თუ სტატია, რომლებშიც „ახალი დროის“ დადგომას იუწყებოდნენ. აქცენტი კარდინალურად „ახალ დროებაზე“ გადატანილი, რომელშიც ნაგულისმხმევი საკითხები - პოსტფორდიზმის კონცეფციაში ასახული წარმოების შესაძლებლობიდან, კლასობრივი სტრუქტურებიდან, შრომითი ურთიერთობებიდან – პიროვნების ახლებურად გაგებამდე - პრობლემატურად წარმოჩინდებიან. პოსტფორდიზმი ფორდისტულ ერასთან სრული დაპირისპირების ფონზე ჩამოყალიბდა.

როდესაც წავაწყდებით პოსტფორდისტების მოსაზრებას კლასობრივი პოლიტიკის წარსულში დარჩენის და მუშათა კლასის დაცემის შესახებ, უნდა გავიხსენოთ, რომ სამრეწველო მუშათა კლასი ყოველთვის უმცირესობას შეადგენდა (დიდი ბრიტანეთის გამოკლებით) და ფიზიკური შრომის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობის მუშაკებზე მოდიოდა. ამრიგად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფიზიკური შრომის მუშაკების გაიგივება მუშათა კლასთან, რომელთაც ნათელი მსოფლმხედველობრივი ხედვა აქვთ, მხოლოდ ინტელექტუალების თეორიული კონსტრუქციაა. ამან კი შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ მუშათა კლასის შრომას საშუალო კლასის შრომისგან თითქოს გადაულახავი უფსკრული აშორებს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

პოსტფორდისტული თეორიის ერთ-ერთი მთავარი თემა არის მოქნილობა, რომელიც ჩვენს დროში საშუალებას აძლევს პატარა, სწრაფად განვითარებულ ორგანიზაციებს გავიდნენ ბაზარზე და მომხმარებლის მოთხოვნილებაზე დიდი ორიენტირებულობის წყალობით მსხვილ კონკურენტებს გაუსწორდნენ.

პოსტფორდიზმს მრავალი კუთხით აკრიტიკებენ. კრიტიკის მთავარი აზრი იმის უარყოფაში მდგომარეობს, რომ ფორდიზმი თავისი კაპიტალისტური წარმოებით სერიოზულ გამოწვევებს იწვევს.

მოქნილი სპეციალიზაცია

პოსტფორდისტული კონცეფციების მსგავს კრიტიკას საფუძველი ნამდვილად აქვს, მაგრამ იგი ყოველთვის შეიძლება უარყოფილ იქნას, ყოველ შემთხვევაში რეგულირების სკოლის მიმდევართა მიერ იმ საბაზით, რომ მთლიანობაში სისტემას კი არ განიხილავენ, არამედ მხედველობაში მხოლოდ დაგროვების კაპიტალისტური რეჟიმის მუტაცია აქვთ. შეიძლება მათ მიერ ჩატარებული ანალიზის უზუსტობების და განუზღვრელობის წინააღმდეგ გავილაშქროთ - კონკრეტულად რაში მდგომარეობს მემკვიდრეობითობა? რამდენად დიდი და მასშტაბურია ცვლილებები? როგორი დამოკიდებულებაა მემკვიდრეობითობასა და ცვლილებებს შორის? - მაგრამ რამდენადაც ამ თეორეტიკოსთა უმრავლესობა თავიანთი მოსაზრებების წამოყენებისას ფართო მარქსისტული პერსპექტივიდან ამოდიან, ამდენად მათ უკანასკნელი თავდაცვითი იარაღი მუდამ რჩებათ: იმ არგუმენტის პასუხად, რომ კაპიტალისტური ურთიერთობები არსებობას აგრძელებენ, ამ თეორეტიკოსებს პასუხად იმ საპირისპირო დებულების წამოყენება ძალუძთ, რომ მათ კაპიტალისტური წარმოების სხვა-უცხო წესი აღმოაჩინეს და წამოაყენეს.

მაგრამ არსებობს მეორე ასევე გავლენის მქონე სკოლა, რომლისთვის ამოსავალი წერტილი უფრო ფოკუსირებული პოზიციაა და რომელიც პოსტფორდიზმის სხვა ვარიანტს წარმოადგენს, სადაც



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

წარსულთან კავშირის რადიკალური გაწყვეტის საკითხს დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. მაიკლ პაიორისა და ჩარლზ სეიბლის შრომებში(1984), რომელთა ყურადღების ცენტრში შრომითი პროცესებია დაყენებული, წამოყენებულია ვარაუდი, რომ მოქნილი სპეციალიზაციის და მოქნილი წარმოების გავრცელება ცხოვრების განსხვავებული წესებისათვის არსებითი უპირატესობების მომტანი იქნება. რამდენადაც ეს თეორიული მსჯელობები პოსტფორდისტულ შრომით პროცესებში ინფორმაციის(ცოდნის) როლს განსაკუთრებით უსვამენ ხაზს, ამდენად მათი შეხედულებების რეგულირების სკოლის ზოგადი თეორიებისაგან დამოუკიდებლად განხილვას ნამდვილად იმსახურებენ.

წანამდვარი ასეთია: ფორდიზმის ეპოქაში, როდესაც მასობრივი წარმოება დომინირებდა, სტანდარტიზებული პროდუქციის დიდი მოცულობები აღჭურვილობისა და მანქანა - დანადგარების სპეციალიზაციას და როგორც შედეგი შრომის სპეციალიზაციას მოითხოვდა, რასაც უცილობლად შრომითი უნარების დაბალ დონესთან მივყავდით. თუ დიდ ქარხანაში კონვეიერს წარმოიდგენთ, მაშინ ნათელი გახდება თუ რაზეა საუბარი. მაშინ ნორმად ტეილორის სისტემა(მენეჯერების მიერ გაწერილი მოძრაობათა მკაცრი ქრონომეტრაჟი, იერარქიული ზედამხედველობა, ოპერაციების რუტინულ მოძრაობებზე დაყვანა) ითვლებოდა, ხოლო აუცილებელი პირობა კი - მცირედ კვალიფიციური ან არაკვალიფიციური შრომა ითვლებოდა.

პაიორი და სეიბლი თვლიან, რომ ჩვენ „დღეს მეორე ინდუსტრიულ რევოლუციას განვიცდით“, იმ ინდუსტრიულ რევოლუციასთან მიმართებაში, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მიმდინარეობდა და რომელმაც მასობრივ წარმოებასთან მიგვიყვანა. მეორე რევოლუცია „მოქნილ სპეციალიზაციას“, ფორდიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ მონოტონურ და არაკვალიფიკაციურ შრომასთან კავშირის რადიკალურ გაწყვეტას გვაუწყებს, რომლის შედეგადაც დაქირავებული მუშების კვალიფიკაცია მაღლდება, სამრეწველო პროდუქციის მრავალფეროვნება კი იზრდება. მსგავსი მოქნილობა ტონს ახალ საუკუნეს აძლევს: იგი თურმე უკვე არსებობს ემილია-რომანიის ოლქში(მხედველობაშია „კლასტერი“, ე.ი. პატარა და საშუალო ფირმების ჯგუფი, რომლებიც გაერთიანდნენ, რათა ბაზრის ცვალებად მოთხოვნილებებს გამკვლავებოდნენ) და მოწოდებულია რათა ადამიანის ქანცგამწყვეტ და გამომათავყვანებელ შრომას ბოლო მოუღოს და წარმოების ხელოსნურ წესთან დაგვაბრუნოს - პაიორი და სეიბლი „იომენების დემოკრატიის“ - პატარა კოოპერაციული საწარმოების აღორძინებაზე ოცნებობენ, რომლებსაც ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე სწრაფად გაცემის უნარი აქვთ.

მოქნილი სპეციალიზაციის წარმოშობის სამ მიზეზს ასახელებენ:

პირველი, ივარაუდება, რომ 1960-იან და 1970 -იანი წლების დასაწყისში შრომის სფეროში არსებულმა მშფოთვარე და არა მშვიდმა ვითარებამ აიძულა კორპორაციები სხვადასხვა საშუალებებით, ვთქვათ, სუბკონტრაქტების რაოდენობის გაზრდით და სამამულო სამრეწველო სიმძლავრეებზე უარის თქმით, თავიანთი საქმიანობის დეცენტრალიზაცია მოეხდინათ. ამან პატარა, ტექნიკურად აღჭურვილ ფირმებს, რომლებსაც უმეტესად რეორგანიზაციის შედეგად სამსახურებიდან ის დათხოვნილები აფუძნებდნენ, ვისაც შრომის სურვილი, კვალიფიკაცია და ადაპტაციის(შეგუების) უნარი ჰქონდათ, ძალიან შეუწყო ხელი და დიდი გასაქანი მისცა.

მეორე, ცვლილებები საბაზრო მოთხოვნებში ნათელი და ცხადი გახდა, ასევე მომხმარებელთა გემოვნების დიფერენციაციაც გამოიკვეთა. ამან მაღალხარისხოვანი საბაზრო ნიშების



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

დაკავებისა და პროდუქციის მცირე მოცულობების წარმოების შესაძლებლობა შექმნა, რასთანაც მოქნილი სპეციალიზაცია კარგად იყო შეგუებული.

მესამე, ახალმა ტექნოლოგიებმა პატარა ფირმებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საშუალება მისცეს, რამდენადაც მასშტაბური წარმოების უპირატესობა შემცირდა, ვინაიდან მაღალპროფესიონალური ფირმები თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების მოქნილობის წყალობით უფრო მოძრავნი გახდნენ. უფრო მეტიც, ახალი ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამების წყალობით განსაკუთრებით მოქნილები ერთდროულად ორ საქმეს აკეთებენ: პატარა ფირმების კონკურენტუნარიანობასაც ზრდიან და კვალიფიკაციასაც ამაღლებენ, იმიტომ, რომ ისინი „წარმოების პროცესებზე ადამიანური კონტროლის აღორძინებას ახდენენ“ (პიორე და სეიბლი, 1984, გვ.24).

ეს მოქნილი სპეციალიზაციის გამარტივებული ვარიანტია, რომელსაც kan-ban (ზუსტად ვადებში) -ის იაპონურ მოდელთან ძალიან ცოტა საერთო აქვს. მოდით ყურადღება ახლა, მოქნილი სპეციალიზაციის შესახებ ორ ძირითად კონცეფციას მივაქციოთ.

პირველი, შეშფოთებას ამ კონცეფციის თაობაზე გამოთქმული თვალსაზრისების გასაოცარი სიჭრელე იწვევს. ოდესღაც ჰარი ბრეივერანის მრავალთა მიერ გაზიარებული რწმენა იმისა, რომ კაპიტალიზმის პროგრესი სულ უფრო მეტ არაკვალიფიცირებულ შრომას მოითხოვს, შეიცვალა ინტელექტუალთა რწმენით, რომ მოქნილ სპეციალიზაციას, რომელიც მომავალი საუკუნის ნიშანი ხდება, დაქირავებულ მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შეუძლია. დიდ ბრიტანეთში ამ ინტელექტუალთა შორის მრავალი მოაზროვნე დაწყებული ჯონ ატკინსონიდან დაწყებული, რომლის ადრინდელი შრომები „მოქნილი ფორმების“ შესახებ, იმ ბიზნეს და პოლიტიკურ ლიდერებს უწყობდა ხელს, რომლებიც კონკურენტული გამოწვევებისა და რეცესიის წინააღმდეგ საბრძოლველად მოქნილ სამუშაო ძალას მოითხოვდნენ, პოლ ჰირსტსა და ჯონათან ცეიტლინამდე, რომლებიც მარქსისტულ ტრადიციაზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ მოქნილი სპეციალიზაცია შეიძლება ყველგან იქნეს ფორმირებული, სადაც „თანამშრომლობისა და კოორდინაციისათვის“ ისეთი სასურველი პირობები არსებობს, რომლებიც დაქირავებულებსა და დაქირავებულებს შორის „ნდობის აუცილებელ მინიმუმს“ უზრუნველყოფს. ამ იდეას აშშ-იც მრავალი მომხრე ჰყავს ისეთი რადიკალისტიკისაგან დაწყებული რპგორიც ფრედ ბლოკია, რომელიც თვლის, რომ „პოსტინდუსტრიული შესაძლებლობები“ „კვალიფიკაციის დონეს“ ამაღლებენ, ბიზნესის ჰარვარდის სკოლის პროფესორ შ. ზუბოფამდე, რომელიც უკანასკნელი წლების განვითარებაში „შრომით ჩვევებში სერიოზული ცვლილებების“ პერსპექტივას ხედავს.

მეორე, ინფორმაცია, რომელიც მოქნილ სპეციალიზაციაში მთავარ როლს ასრულებს, მრავალი თვალსაზრისით განიხილება. ერთ-ერთის თანახმად, რომელსაც მრავალი ავტორი იზიარებს, რომლებიც ყურადღებას შრომის ნაყოფიერებაზე ამახვილებენ, ინფორმაციულ კომუნიკაციურ ტექნოლოგიები მოქნილი სპეციალიზაციის მთავარი ნიშანი და მისი უზრუნველმყოფელია. ახალი ტექნოლოგიები - გონიერი (ჰკვიანი) ტექნოლოგიებია, მათი განმასხვავებელი ნიშანი - რთული ინფორმაციის დიდი მოცულობის ინკორპორირებაა. ამგვარად, პროგრამები, რომლის მიხედვითაც ისინი მუშაობენ, მათი უფრო მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ვიდრე მათ მიერ შესრულებული ფუნქცია. სწორედ ეს, მათში ჩაშენებული, ინფორმაციული ბლოკები განსაზღვრავენ მათი მოქნილობის ხარისხს, რაც მათ, მაგალითად, საშუალებას აძლევს



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

რენტაბელური მცირესერიული პროდუქცია გამოუშვან, საქონლის კასტომიზაცია განახორციელონ და ოპერაციები სწრაფად შეცვალონ. გარდა ამისა, სწორედ ეს ინფორმაციული ელემენტი თვით სამუშაო პროცესის მოქნილობას უზრუნველყოფს. რადგან იქ მუშაობისთვის სრულიად განსხვავებული უნარ-ჩვევების ფლობა და დიდი ადაპტირებულობა(შემგუებლობა), მაშასადამე, მოქნილობა მოითხოვება, რაც თავისთავად ინფორმაციას წინა პლანზე წევს. თუ წინათ მშრომელი ადამიანი უნარ-ჩვევების რაღაც განსაზღვრულ ნაკრებს „ერთხელ და სამუდამოდ“ სწავლობდა, მაშინ ინფორმაციულ ეპოქაში იგი ახალი(ან გადაპროგრამირებული) ტექნოლოგიების დანერგვის ზომის შესაბამისად ახალი ჩვევების დასუფლებლად თუ ასათვისებლად მუდმივად მზად უნდა იყოს. „ჩვევების ასეთი სიფართოე“ ნიშნავს, რომ მუშაკი დასწავლა - შესწავლის მუდმივ რეჟიმში იქნება, ეს კი პირველ რიგში ინფორმაციული ამოცანაა.

ინფორმაციის მთავარი და ძირითადი როლის ამხსნელი მეორე წესი ასევე ეფუძნება იმას, რომ წარმოებაში სულ უფრო მეტი პროგრამირებადი ტექნოლოგია ინერგება. ასეთი რთული მოწყობილობების თვით არსებობის ფაქტი მუშაკისაგან მთელი სისტემის შესახებ ინფორმაციის(ცოდნის) ფლობას მოითხოვს, რათა ამ სისტემის მუშაობაში გარდუვალ შეფერხებებს გაუმკვლავდეს, ამგვარად, ინფორმაციული ტექნოლოგიები მუდმივ გადამზადებას არა მხოლოდ სტიმულს აძლევს, არამედ ისეთ მუშაკს საჭიროებს, რომელიც სისტემის შინაგანი აგებულების შესახებ მონაცემების ათვისებასა და დაუფლებას შეძლებს. ლარი ჰირშორნის ტერმინოლოგიით, ესენი „პოსტინდუსტიული მუშებია“, რომლებსაც „მთელ საწარმოო პროცესებზე დაკვირვება და მისი იმდენად გაგება უნდა შეეძლოს, რომ ნებისმიერი დაბრკოლების ლიკვიდაციისათვის მზად უნდა იყვნენ“. ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოებაში - იგივე „პოსტინდუსტიული ტექნოლოგია“, რომლებიც კონვეიერზე ფიზიკური დატვირთვებისა და მუშაობის მონიტორინგის მნიშვნელოვან ნაწილს ხსნიან, მაგრამ სანაცვლოდ „დიდ მობილიზებას და დაკვირვებულობას მოითხოვს, რაც კიბერნეტიკული ტექნოლოგიების არასრულყოფილებისა და მუშაობაში შეფერხებებისა გამო, აუცილებელია. ამიტომ სწავლება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ იგი მუშაკს სისტემის მოულოდნელი გაუმართაობის გამოვლენის დროს მისი გამართვის შემძლე უნდა ამზადებდეს“. ე.ი. მათთვის მთლიანი მასშტაბის გაგება და მუდმივი „გადამზადება და სწავლება“ აუცილებელია.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ „მუშაკი, რომელიც საწარმოო პროცესის კონტროლირებადი ელემენტი იყო, კონტროლის კონტროლირების გზით თვითონ გახდება კონტროლის განმახორციელებელი. მაშასადამე, მუშაკის შრომა „განათლებული“ გახდება, თავად მუშაკი ინფორმაციული ტექნოლოგიების დაუფლების აუცილებლობის გამო იძულებული იქნება „ცხოვრების მოძრავი, მოქნილი წესით“ იცხოვროს.

მოქნილი სპეციალიზაცია მუშას აგულიანებს შრომის დაგეგმვაშიც კი მიიღოს მონაწილეობა, ე.ი. წარმოების კომპიუტერიზაცია ოპერატორს „უკუკავშირის ყულფით“ იგივე „კიბერნეტიკული უკუკავშირით“ უზრუნველყოფს, რაც მას სისტემის გადაპროგრამების შესაძლებლობას აძლევს. აქ მუშა ინფორმაციულად აღმქმელი, მოწინავე ტექნოლოგიების წყალობით საწარმოო პროცესებში არსებული ყველა დეტალის გამცნობიერებელ ადამიანი ხდება, რომელსაც გონებრივი ძალისხმევის გამოყენებით უნარი აქვს მთელი სისტემის სრულყოფილება უზრუნველყოს. ზუბოფი ამას რეფლექსურობას უწოდებს, რომელიც ინფორმაციულ - კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან როგორც „მინფორმირებელ“ პროცესთან



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

მუშაობისაგან წარმოიქმნება და რაც თავის მხრივ „ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებს“ ბადებს და ამლიერებს.

სკოტ ლემს და ჯონ იურის(1994) ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიებიდან ინფორმაციაზე როგორც ასეთზე აქცენტის გადატანით და ყურადღების არა მხოლოდ წარმოების პროცესის, არამედ შრომის სხვა სახეებზე გამახვილებით, რეფლექსურობის ელემენტი უფრო მაღალ სიმაღლეებზე აყავთ. მათი აზრით, ჩვენ „რეფლექსური დაგროვების“ ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც ეკონომიკური საქმიანობა(მოღვაწეობა) თვითკონტროლირებად, მომხმარებელთა, გასაღების ბაზრის მოთხოვნილებებზე პასუხის გაცემის უნარის მქონე მუშაკებზე(და დამქირავებლებზე) და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია - ისეთ მუშაკებზე ხდება სულ უფრო მეტად მეტად დამოკიდებული, რომლებიც ტექნიკურ ინოვაციებზე სწრაფად და ეფექტურად რეაგირებენ. აქ ინფორმაცია ცენტრალურ ადგილს იკავებს, რადგან იგი ერთდროულად იგი უმნიშვნელოვანესი, ყველას წარმარტველი, რეფლექსური პროცესის ელემენტი და პროდუქტისა და გასაღების ბაზრების მონიტორინგის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების და სრულყოფის მუდმივი პროცესის ამოსავალი მასალაა.

საქონლის წარმოებაში სიმბოლოები იმდენად შეიჭრა, რომ მრავალ დარგში დიზაინი პირველ ადგილს იკავებს, თანაც ამავდროულად იმ დარგების ფეთქებადი ზრდა შეიმჩნევა, რომლებშიც სიმბოლო პირველადი და მადომინირებელი ხდება(მაგალითად, კულტურის ინდუსტრია). ეს ცვლილებები ყველაზე თვალსაჩინო, ამტკიცებენ ლემი და იური, ავტომობილების წარმოებაში(სადაც სიახლეების უზარმაზარი ნაწილი დიზაინს და არა ტექნიკურ სრულყოფას განეკუთვნება). უფრო ძლიერად კი ისინი მუსიკალურ ბიზნესში. ტელევიზიასა და საგამომცემლო საქმიანობაში შეიჭრნენ - კულტურის ამ სწრაფად მზარდ ინდუსტრიაში, სადაც ინფორმაციით სამუშაოს ყველა ასპექტია გაჟღერებული და გამსჭვალული.

ამტკიცებენ, რომ ინფორმაციული შემადგენლის ზრდის კვალობაზე ხდება სამუშაოს „დიზაინ-ინტენსივობის“ ისეთ სფეროებში ზრდა, როგორებიცაა „მოდური“ ტანსაცმლისა და ავეჯის წარმოება, ტურიზმი და დასვენების ბიზნესი.

წარმოდგენის, რომ შრომა-ეს მონოტონური ფაბრიკული წარმოებაა, წინააღმდეგ შეპასუხებისას, ლემი და იური აანალიზებენ იმას თუ საქონლის წარმოებაში როგორ ხდება ისეთი პროცესების ჩართვა, რომლებიც პროდუქტისაგან “ესთეტიზაციას“ ე.ი. კულტურული ტენდენციების ასახვას მოითხოვენ, რაც შრომით დამოკიდებულებებზეც კი ახდენს გავლენას და რომლებშიც, განსაკუთრებით, ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექსტებში, „საუნივერსიტეტოს მსგავსი“ ეთიკა იწერება.

ამ ტენდენციების გათვალისწინებით ლემი და იური ფიქრობენ, რომ შრომას ორი ფორმიდან ერთის მიღება შეუძლია: ან ინოვაციები გადაეცემა საწარმოო სფეროს და ოპერატორები წარმოების პროცესში დიდ როლს ითამაშებენ(ჰირშონის მიხედვით) ან საწარმოო სფერო გვერდზე გადაიდება, ხოლო მის ფუნქციებს „პროფესიონალი - მენეჯერები“ აიღებენ თავის თავზე, რომლებიც უმაღლესი ტექნოლოგიების და მომიჯნავე საწარმოო და სამომხმარებლო მომსახურების სფეროებში უკვე დასაქმებულნი არიან. ნებისმიერ შემთხვევაში მოქნილი სპეციალიზაციის ეპოქაში მომავალი მხოლოდ მაღალკვალიფიციურ, მაღალპროფესიონალურ შრომას აქვს.



Web - დამოკიდებულება

აქ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ რობერტ რაიხს. რაიხის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ „სიმბოლური ანალიტიკოსები“ ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი და ინოვაციის ორგანიზატორები გახდნენ, მოქნილი სპეციალიზაციის კონცეფციას თავისუფლად მიესადაგება. რაიხს მიაჩნია, რომ „სიმბოლური ანალიტიკოსები“ - ანუ, ისინი ვინც ინფორმაციულ ერაში ფიქრობენ, იაზრებენ, ანალიზებენ და გეგმავენ - მუშაობის იმ მეტოდებს ახორციელებენ და ავითარებენ, რომლებიც არა შიდაკორპორაციული იერარქიის, არამედ „გლობალური აბლაზუდის“ პოზიციებიდანაა ადვილი გასაგები. ამ იდეას მრავალი გავლენიანი სოციოლოგი, მათ შორის მანუელ კასტელსიც იზიარებს, რომლის ნააზრევსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ შრომა სულ უფრო არა ვერტიკალური, არამედ ჰორიზონტალური ურთიერთობების საგანი ხდება. ფორდის ეპოქაში მუშები შრომობდნენ კომპანიებში, კიბე-კიბე მიიწევდნენ კარიერისკენ, იღებდნენ თავისი შრომის ანაზღაურებას, შრომითი ცხოვრების ბოლოს კი, პენსიას. მაგრამ ახლა კორპორაციები დანახარჯების ეკონომიის(იმიტომაც, რომ ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიები ასეთ შესაძლებლობას იძლევა) გაწევის თვალსაზრისით, ასევე თავიანთი კონკურენტუნარიანობის ამადლების მიზნით კორპორატიულ იერარქიას ანგრევენ, შლიან, მაგრამ ყველა ამ ღონისძიებას იმასთან მივყავართ, რომ ახლა ყველაზე მეტ უფლებამოსილებას იღებს ის, ვინც მეტ ინიციატივას იჩენს, ვინც ნოვატორია, ვინც სიახლეების დანერგვას ახდენს(შესაბამისად ახალ საბაზრო შესაძლებლობებს უზრუნველყოფს). ისინი კარგად განათლებული და კვალიფიციური ადამიანები არიან, მათ ბიუროკრატიული პროცედურების სიზუსტე დიდად არ ანაღვლებთ. მათი ლოიალობა და დაინტერესება არა კომპანიაზე(რომელიც ადრე თანამშრომელთა ლოიალობიდან ეფექტურობის და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებად ბევრს იღებდა), არამედ იმ პროექტზეა მიმართული, რომელზეც მუშაობენ. მაგრამ ისინი კოლეგებთან, რომლებიც იმავე სფეროში მუშაობენ, იდენტიფიცირებას უფრო მაღალი ხარისხით და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახდენენ. კოლეგების მიერ მოცემული მაღალი შეფასება - აი ესაა მთავარი მოტივაცია და არა ხელფასზე ყოველწლიური დანამატი ან თავისუფალი დროის ან შვებულების კომპანიის თანამშრომლებთან კომპანიის ხარჯზე გატარება. თავიანთი ყოველდღიური მუშაობისას ისინი კოლეგებთან ურთიერთობას, რომლებიც მათგან საკმაოდ დიდი მანძილით არიან დაშორებულნი, ძირითადად ქსელური კავშირის მეშვეობით ამყარებენ. მაგრამ რამდენადაც ისინი ყველანი „აბლაზუდაში“ არიან, ამდენად მათი ერთა შეკრება, როცა ეს აუცილებელია, ძალიან ადვილია. იმ გარემოში, სადაც ძირითად კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს მოქნილობა, ინფორმაციული ექსპერტები, რომლებსაც ბევრი მიღწევა აქვთ და მოქმედებენ სწრაფად, დიდი მოთხოვნით სარგებლობენ. თუმცა კომპანიებს ხანგრძლივი დროით ძალიან ცოტა რამ შეუძლიათ მათ შესთავაზონ. ამ მოვლენის გაგება მწელი არაა, თუ მაღალი კლასის პროგრამისტის, მეცნიერ მუშაკის ან ჟურნალისტის შრომას წარმოვიდგენთ. ასეთი ადამიანები თავიანთ კომპანიებს, უნივერსიტეტებს ან გაზეთებს ძირითად მნიშვნელობას იშვიათად ანიჭებენ, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - კოლეგების მიერ მოცემული შეფასებაა. მათთვის მთავარი საზრუნავი დამუშავების პროცესში მყოფი პროგრამული პროდუქტი, კვლევითი პროექტი ან გაზეთისი დასაბეჭდად გამზადებული სტატიაა. მაგალითად, მაღალი კლასის პროგრამისტები, მეცნიერმუშაკები, ჟურნალისტები. ასეთი მუშაკები მუდმივად სრულყოფენ თავიანთ ცოდნას, ურთიერთობენ კოლეგებთან და მომდევნო პროექტისთვის



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ემზადებიან. ისინი სიამოვნებით გადადიან ერთი პროექტიდან მეორეზე, მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი - par excellenc(თავიდანვე) - მოქნილი სპეციალისტები არიან.

სავსებით გასაგებია, თუ ინტენსიურ ინფორმაციულ მუშაობასთან და მომზადების მაღალ დონესთან დაკავშირებული მოქნილი სპეციალიზაციის იდეა ამდენად დამაინტრიგებელ იდეად რატომ გვეჩვენება. მუდმივად სწავლების პროცესში მყოფი მუშაკის შესახებ წარმოდგენა „მოქნილობის“ სახეს საკმარის დამაჯერებლობას სძენს. უფრო მეტად მომხიბვლელია ის, რომ ასეთი ტიპის პროფესიულ მუშაკს უფრო კულტურის ინდუსტრიაში ხედავენ, სადაც ყველა იმითაა დაკავებული, რომ ძუნწად გამოწვლილი ახალი იდეები და სტილები აიტაცონ და განავითარონ, ინფორმაციასა და მის დამუშავებასთან მუდმივივი საქმის ქონისას, უსასრულო ინოვაციების დახმარებით ახალ საბაზრო ნიშებს პოულობენ. ამ ტიპს შეიძლება მიეკუთვნებოდეს თვითმასწავლებლის ავტორი, გიდი - ექსპურსიამდლოლი. პროდიუსერი ტელევიზიაში, მენეჯმენტის მიმართულების კონსულტანტი.

თუმცა „მოქნილი სპეციალიზაციის“ თეორიას კრიტიკაც თან სდევს. მოდით, ძირითად შეკასუხებებზე შევჩერდეთ.

პირველი, ამ თეორიის ზოგიერთ წარმომადგენელს ტექნოლოგიური დეტერმინიზმის კვალი ემჩნევა, თუმცა ამას ისინი უარყოფენ. მაგრამ ისინი კი, ვინც, მაგალითად, როგორც ჰირშორნი, ყურადღებას კომპიუტრების კიბერნეტიკულ შესაძლებლობებზე ამახვილებენ, ადვილად ვარდებიან იმ ტრადიციის მარწუხებში, რომელიც ვარაუდობს, რომ მოწინავე მოწინავე ტექნოლოგიები კვალიფიკაციებს მაღალ მოთხოვნებს უყენებს. ჰირშორნის თვალსაზრისით, „ინდუსტრიული რევოლუცია“ „ტრანსკულტურულია“ და სოციალურ ცხოვრებას გარდუვალობით ერთი და იგივე შაბლონით აფორმებენ. ასეთი სიტუაციის გადალახვა(და ასეთი სიტუაციებიდან განთავსუფლებაც) მხოლოდ „პოსინდუსტრიულ ტექნოლოგიებს“ შეუძლია, რომლებსაც თან მოქნილობაც მოაქვთ.

მეორე, მოქნილი სპეციალიზაცია ეწინააღმდეგება მასობრივ წარმოებას და მით დიდი კორპორაციული ორგანიზაციების შემნარჩუნებელ დომინირებას რაღაცნაირად უპირისპირდება. მაგრამ ეს დაპირისპირება რამდენიმე მიზეზით საეჭვოა. ერთ-ერთი მათგანი, რომლის შესახებაც უკვე იყო საუბარი, ისაა, რომ ისინი ამ შემთხვევაში ვერ აფასებენ გიგანტური კორპორაციების მოქნილობას, რომელთაც უნარი შესწევთ მუშაობის ახალი მეთოდები, ახალი ტექნოლოგიები დანერგონ და მოდულაციურ საფუძველზე პროდუქცია გამოუშვან, რაც მათ მასობრივი წარმოების შენარჩუნებისას მნიშვნელოვანი დიფერენციაციის შესაძლებლობას აძლევს, რაც წარმოების განვითარებას განაპირობებს. მაიკლ სეიბლი თავად უშვებს, რომ „არსებულ ფორდისტულ ფირმებს ცვალებადი მოთხოვნის დაკმაყოფილება ძალუძთ ისე, რომ ფუნდამენტური ოპერაციონალური პრინციპები არ შეცვალონ“. ამ შესაძლებლობებზე დიდ საავტომობილო ფირმებში ჩატარებული კეის-კვლევებიც მიუთითებენ: მაგალითად, Nissan-მა სანდერლენდში ახალი, მოქნილი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა ააშენა, მაგრამ იქვე უშვებს შპორის ისეთი ურთიერთობები შეინარჩუნა, რომლებიც ხელქვეითებზე დაჟინებულ და უწვეტ კონტროლს გულისხმობს. Nike -ს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაგვანახეს, რომ წარმოება სრულიად ფორდისტული რჩება. კომპანია იღებს დამატებით შემოსავალს იმის მიუხედავად, რომ პროდუქტის (ტრენაჟორები)70% ჩინეთში და ინდონეზიაში იწარმოება, ხოლო საორგანიზაციო სტრუქტურები და მარკეტინგი, ანუ ყველაზე კრიტიკულად საჭირო და



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელიც დამატებით ღირებულებას იმ ნაწილში ქმნის, რომელიც სპორტულ ფეხსაცმელს(ბოტასებს) ეხება, ან სინფორმაციო სამსახურები შეერთებულ შტატებშია განლაგებული. თუმცა შესაძლოა, როგორც ამას ქეით გრინტი(1991) აღნიშნავს, არც ღირდეს ასეთი კონცეპტუალური მნიშვნელობა მივანიჭოთ ცვლილებებს მაშინ, როდესაც მასობრივ წარმოებასა და მოქნილობას შორის ასეთ ძირეულ განსხვავებას ვატარებთ. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით „რომ არა წარმოების ერთი წესის მეორეტი შეცვლა, არამედ სხვადასხვა სახის ბაზრებზე მოქმედი მოქმედი წარმოების წესების ურთიერთდამატება - შევსების და პარალელური განვითარების პროცესები მიმდინარეობს“(გვ. 298).

მესამე, მოქნილი სპეციალიზაციის გარკვეულად არსებითი მაგალითების არსებობის მიუხედავად, განვითარებულ ეკონომიკებში მაინც მასობრივი წარმოება დომინირებს., ამრიგად, წარმოების წესების მკაფიოდ შეცვლა ემპირიულად მცდარია. ზოგიერთები კი ამტკიცებენ, რომ მოქნილობაში განსაკუთრებულად ახალი არაფერია, იგი კაპიტალისტური წარმოებისათვის მისი წარმოშობიდანვე იყო დამახასიათებელი(პოლერტი, 1988, გვ 45-46). მეცხრამეტე საუკუნე ბაზრის ცალკეული სეგმენტების დასაკმაყოფილებლად წარმოქმნილი სპეციალიზებული საწარმოების უამრავ მაგალითს გვაძლევს, მაგრამ არავის აზრადაც კი არ მოსვლია, განეცხადებინა, რომ საცალო ვაჭრობაში ან სათამაშოების წარმოებაში დასაქმებული ოსტატები მოქნილი სპეციალიზაციის წარმომადგენლებია“(შეადარე.:Mayhew,1971).

მიუხედავად იმისა, რომ მოქნილი სპეციალიზაციის მომხრენი მას მხოლოდ დადებით რაკურსში ახასიათებენ, იგი შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს როგორც „შრომის სეგმენტური ბაზრის“ აღორძინება. კომპანია შეიძლება ძირითადად კვალიფიციური, პროფესიონალი და მოძრავი მუშაკებისგან შედგებოდეს, მაგრამ ასევე რჩებიან „პერიფერიული“ მუშაკები, რომლებიც არასრული სამუშაო დღით მუშაობენ, ან მოკლევადიანი ან ერთჯერადი კონტრაქტით მუშაობენ. ბოლო წლებში ასეთი მუშების რაოდენობა გაიზარდა. მაგრამ ექვი მაინც რჩება, მართლა ასეა სინამდვილეში საქმის ვითარება, ერთი რამ კი უეჭველია, რომ ასეთი სამუშაო ძალა კაპიტალისტური საწარმოებისათვის უკვე დიდი ხანია, ანუ თავიდანვე იყო დამახასიათებელი. მსგავსი სახის მუშები კაპიტალისტური წარმოებისთვის დამახასიათებელი იყო.

მეოთხე, სერიოზულ შეკამათებას იწვევს ის აზრი, როდესაც ამტკიცებენ, რომ პოსტფორდიზმთან ერთად ინიციატივანი, სწრაფად ადაპტირებადი და ადვილად გადაადგილებადი მუშათა ძალა ყალიბდება, მაშინ, როდესაც ერთ ადგილზე მუშაობის ხანგრძლივობა არ მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ „მოკლე ვადიან პერსონალზე“ და მოკლევადიან კონტრაქტებზე მონაცემები არსებობს, უფრო სისტემური სახის მონაცემები კი აჩვენებენ, რომ სინამდვილეში 1980 – 1990 წწ-ში ადამიანები ერთ კომპანიაში უფრო ხანგრძლივად მუშაობდნენ. ეს შეიძლება დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენს მშფოთვარე ეპოქაში ადამიანები ერთ ადგილზე დარჩენას ამჯობინებენ, ან სამუშაოს შეცვლის შესაძლებლობას თავისივე ორგანიზაციის შიგნით პოულობენ. მაგრამ ასევე სავსებით შესაძლებელია, მოქნილი სპეციალიზაცია მოგონილია, რომ ის ჟურნალისტების(რომელთა სამუშაო ადგილები არასტაბილურია) და აკადემიური მეცნიერების წარმოსახვის ნაყოფია, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას მთელ საზოგადოებაზე ავრცელებენ.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

და ბოლოს, ანა პოლერტი (Pollert, 1988, 1990) მოქნილი სპეციალიზაციის თეორიას მისი ბუნდოვნებისა და ყველაფრის მომცველობის გამო აკრიტიკებს. თუ მოქნილ სპეციალიზაციას უფრო ადვილად შემოწმებად ელემენტებად (დაქირავების, პროფესიის, დროის, წარმოების მოქნილობად) დავშლით, მაშინ იგი დამაჯერებლობისა და ორიგინალობის მხრივ ძალიან ბევრს კარგავს.

რეზიუმე

ზემოთ მოცემულ თავებში აღწერილია თეორია, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ ფორდისტული რეჟიმი პოსტფორდისტულმა ჩანაცვლა, მასობრივი წარმოებიდან კი, მოქნილ სპეციალიზაციაზე გადავდით, თუმცა განხილული დისკუსიებით დასკვნის გაკეთება ძალიან ძნელია, მოცემული არგუმენტები ვერ ამტკიცებენ მართლა მოხდა, თუ არა სისტემური გადასვლა, თუ ეს ყველაფერი მხოლოდ კაპიტალისტური ურთიერთობების გაგრძელებაა. ნათელია, რომ იმ ვარაუდებს და დაშვებებს, თითქოს სოციალურ ურთიერთობებში გადამწყვეტი ცვლილება ჩვენ თვალწინ მოხდა, ცოტა სკეპტიკურად მაინც უდა შევხედოთ.

კაპიტალისტური კონტინენტის შესახებ თვალსაჩინოდ მისი ისეთი ძირითადი მახასიათებლები მეტყველებს, როგორებიცაა: საბაზრო კრიტერიუმების პირველადობა, სასქონლო წარმოება, დაქირავებული შრომა, კერძო საკუთრება და კორპორაციული ორგანიზაცია, ნათელია, რომ ისინი დღესაც დომინირებენ, რითაც ძალიან შორეულ წარსულთან კავშირებს ადასტურებენ. თუმცა, მიუხედავად ამისა იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ კაპიტალიზმი - ეკონომიკური და სოციალური წყობის დინამიური ფორმაა, არ შეიძლება საკამათოდ ვაქციოთ ის, რომ ომის შემდგომ პერიოდში ჩვენ შრომის ორიენტაციაში სერიოზულ ძვრებს, მისი ორგანიზაციის ზოგიერთ ახალ ფორმას, დასაქმების სტრუქტურაში ცვლილებებს ვაკვირდებით და ვამჩნევთ კიდევ. არ დავუშვათ შეცდომა და ამ ფაქტის კონსტატაციიდან იმ მტკიცებაზე არ გადავიდეთ, თითქოს დღეს ისეთი სოციალური ცვლილებების მოწმენი გავხდით, რომელიც ისეთი ცვლილებების და გადასვლების ტოლია, როგორებიც მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმზე გადასვლა იყო, ან ისეთი ხდომილებების აექვატურია, რომლებიც სულ ახლახანს მოხდა და უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ფორდიზმიდან პოსტფორდიზმზე ნებისმიერი სახის გადასვლაა, ანუ კომუნისტური რეჟიმების კოლაფსი და მათი საბაზრო ეკონომიკური სისტემებით შეცვლილი მცდელობებია.

მოდის ეს მოსაზრებები გვერდზე გადავდეთ და შრომის კაპიტალისტურ ორგანიზაციაში მომხდარი მსხვილი ცვლილებები აღვნიშნოთ:

- ღრმა რეცესიამ, რომელმაც 1970 - იან წლებში კაპიტალისტური საზოგადოება მოიცვა, ურთიერთობათა რესტრუქტურირაცია მოითხოვა, რამაც არასტაბილურობასა და „პლასტების შეცვლასთან“ გარდუვალად მიგვიყვანა.
- სწრაფი ტემპით მომხდარი გლობალიზაციის გამო კორპორაციებს უკვე აღარ შეეძლოთ წესრიგის დაცვა და იძულებულები იყვნენ ახალი სიტუაციიდან მომდინარე გამოწვევებზე პასუხი გაეცათ და აღმოჩენილი შესაძლებლობები გამოეყენებინათ.
- მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა თავიანთი ზომები, გაქანება და გეოგრაფიული არსებობის არეალი ისტორიულად უპრეცედენტო მასშტაბებით გაზარდეს, რამაც ისინი გლობალურ ეკონომიკაში ძირითად მოთამაშეებად აქცია.



საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

ყველა ამ პროცესმა ერთად აღებული კაპიტალისტურ მეწარმეობაში ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს, მათ შორის თვით ცვლილებების დაჩქარებასაც კი მისცა ბიძგი, რამაც წარმოების, მარკეტინგის და ყოველ შემთხვევაში გარკვეული დოზით მოხმარების უფრო მოქნილი სტრუქტურების შემუშავება მოითხოვა. შესაბამისად, სხვადასხვა დონეზე, დაწყებული საამქროებიდან თუ ოფისებიდან მსოფლიო მასშტაბის მქონე კორპორატიულ ოპერატორებამდე, ამ პროცესებისა და ცვლილებების როგორც ასეთის გასაგებად და არსის საწვდომად აბსოლუტურად კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო.

შესაძლოა, ინფორმაციამ კი არ წარმოქმნა ყველა ეს ცვლილება, მაგრამ ის, უეჭველია, კაპიტალისტური მეწარმეობის საქმიანობის და ინტერესების ადაპტირების(შეგუების) განმტკიცებაში ყველაზე მაინტეგრირებელ როლს თამაშობს.

- ინფორმაციული ნაკადები, ძირითადად ის ქსელები, რომლებიც ფინანსურ და სხვა მომსახურებას უზრუნველყოფენ, გლობალიზებული ეკონომიკის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ.
- ინფორმაცია, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციების როგორც შიგნით, ისე გარეთ მენეჯმენტისა და კონტროლის საქმეში მთავარ როლს თამაშობს.
- წარმოქმნილ გლობალურ ლოკალიზმში გადამწყვეტი ფაქტორი ინფორმაცია აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც საერთაშორისო და ლოკალური პრობლემები და ინტერესები ერთმანეთს ერწყმიან და იმართებიან.
- ინფორმაცია სამუშაო ძალის ინტეგრალური ნაწილი გახდა იმიტომ, რომ კომპიუტერიზაცია შრომის ყველა სფეროში იჭრება, და იმიტომ, რომ მრავალ პროფესიაში ინფორმაციის წილი არსებითად გაიზარდა. ორგანიზაცია, დაგეგმვა და დანერგვა ჩვენს ეპოქაში ინფორმაციის სპეციალისტების - რაიხის ტერმინოლოგიით - „სიმბოლური ანალტიკოსების“ სულ უფრო დიდ რაოდენობას მოითხოვს, - მათი საქმიანობა კი ყველა დსანარჩენზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს.